სალიტერატურო და სამეცნიერო ნახატებიანი გაზეთი. გამოდის ყოველ კვირა დღეს.

№ 20 მაისი 5 1896 წ. № 20

შინაარსი: კვირის სურათები, კვიმატისა.—სხვა-და-სხვა ამბავი.—საყურადღებო ამბები.—წლიური ანგარიშები.—*** ლექსი ი. ევდოშვილისა.—ცხოვრება და მწერლობა, ფხასი.—ბრამინების ლოცვა ვულკანის წინაშე.—ბაში-აზუკი (გაგრძელება), აკაკისა.—კრიტიკული განხილვა, ფილ. მახარაძისა.—კალის ფოსტა და შეცდომის გასწორება.

№ 4 „ჯეჯილისა“ გამოვიდა და დაფრიგდა ხელის მომწერლებს.

გამარჯვებულთა მოგზაურობა.

კვირის სურათები.

ველი ფილოსოფოსის არ იყოს, თუ „კაცის მონახვა“ ფარნითაც ძნელია, კაცუნები და მათი ნამოქმედარი ხომ ჩვენ თვალ წინ არი. მართალია, ხან-და-ხან ესენიც იმალებიან ქამთა წყვდიადში, მაგრამ სინათლეც მისთვის არის, რომ გაანათოს წყვდიადი. ჩემი ფარანიც, დროთა ვითარებისა გამო, რა რიგ ცუდათაც უნდა ბჟუტავდეს იგი, მაინც ხან-და-ხან წაატყდება სათვალჩინოს. „სათვალჩინო“--ეს ხომ მალალ-ფარდიანი ფრაზაა, მაგრამ სათვალსეიროს მაინც. აი, ვთქვათ, ახლაც. ჩემ ხელთ ერთი საბუთია, რომელიც ეკუთვნის 1811 წელს და, მაშასადამე, რაც დაწერილა 85 წელია მას აქეთ. ეს პატარა ქალალდის ნაფლეთი საესეთ და უმეტნაკლებოთ ხატავს კაცის ცუდს და კარგს მხარეებს. მასში, როგორც სარკეში გამოსჩვიეს ის, რაცაა ჩვენში ზეციური და მიწიური, მალალი და მდაბალი, ბნელი და ნათელი. მოკლეთ, იგი საბუთია და საბუთი, რომლის გამოისობით კარგ მხატვარს შეუძლია დახატოს რამოდენიმე სურათი ჩვენი ცხოვრებიდან. ოთხმოცდა ხუთი

წელიწადი—ეს ხომ ერთი დღე ან ერთი კეირა არ არის, იგი თითქმის მთელი საუკუნეა, რომელმაც თავის დაღი, თავისი კვალი უნდა დააჩნიოს ყველაფერს. იმ ქალალდსაც, რომელზედაც მე ვამბობ, ბევრი უცხოვრია, ბევრი გამოუცდია, ბევრი გადასველია თავეს, სანამ ჩაკარდნია ხელში ჯერ ყველასაგან ცნობილ ჩვენ მოლვაწეს, ზაქარია ჭიჭინაძეს და მემრე მე, რომ ამგვარათ დაემტკიცებია ის, რაც ბნელათ და უმოწმოთ უნდა დარჩენილიყო სამუდამოთ.

მაშ, იქონიეთ მოთმინება და გადიკითხეთ ქვემო მოყვანილი „ანდერძის“ პირი, რომლის ნამდვილი, ძველებურათ და ძველ ქალალდზე დაწერილი, დღესაც ინახება ჩემ საწერ სტოლის უჯრაში.

აი ეს „ანდერძი“:

სახელითა მამისათა, და ძისათა, და სულისა წმიდისათა, ამინ:

უმდაბლესათ მოგასსენებთ მე ქუჩმორე ამა წერილის კელის მომწერი, ყოველთა ჩემთა სისხლით ნათესავთა, და კედრებითცა გთხოვთ, რათა არ უგულებელსყოთ თხოვა ესე ჩემი, რომელიცა ამისსა ქვემორე შედგება:

ყოველნი კეტნი ტოდვისა ქვე-მდებარენი ვართ, და ამის გამო გვიბრძანებს თჯთ უტეუშლი პირი რომელ, პირველად ემიებდითო სასუფეველსა ღვთისასა, და ესე ყოველი შეგეინოსთ თქვენ, და ჯდ გვიბრძანებს იგივე პირი, რომელ მიეცით მოწყალება, და ჭეშმარიტ ქუშლის სქმეო. ვინაიდგან მესმოდა მეტ მტირედ წერილნი, და ვსედავდი სინიდისსაცა ჩემსა რომელ ყოველითა ტოდვითა და უსჯულოებით ვიყავ შებღალული. ამის გამო თავსა შორის ჩემსა განვიზრასეედი რომელ, რაჲ უნდა მეშველოს და რამან უნდა განმარინოს მე დაუსრულებელსა მას სატანჯუშლსა, რომელიცა სამართალცა არს ჩემდა მოგებად, და გერარაჲსა ღონისა მეძიებელმან შევსწირე მტირე ესე შესაწირავი მართალსა მას მსჯულსა სოსნად ტოდვილისა სულისა ჩემისა რ, ასი თუმანი ასიგნაცია. რომელიცა მიგეც ფითუასშვილსა დანელას. რომელისაცა თამასუქი მაქს, ჩ. უ. ი. ა. წელისა, ნოემბრის თვის პირველსა. სარგებელი არის თუმნის თავს ორი შაური. ესრეთ რომელ ის ასი თუმანი უკვდავად უნდა იყოს და იმისი სარგებელი თვე-და-თვე რაც დადგეს გლახაკთათვის უნდა იყოს, და გლახებს ეძლეოდეს, და იყოს საზდოთ რამდენსაც გასვდეს დღე და დღე ერთსა თუ ორს, როგორც გასვდეს:

მარადჟამ მსჯულო შეიწირე მტირე ესე შესაწირავი ტოდვილისა მონისა შენისაგან, ვითარცა შეიწირე ორი მწვალიანი ქვრივისაგან, და მომსეედენ მოწყალების თვალითა მერმესა მას განჭსჯასა. აწდა უგუნითი უგუნისამდე ამინ: და თუ ვინმე ჩემმა მონათესავემან შდად ჯელი შეაჯოს და დასარჯოს, წინაშე მეფეთისა საშინელისა ჩემის ტოდვების პასუხი იმან მისცეს განსჯასა მას საშინელსა მერმესა მას მეორედ მოსვლასა ქრისტესა: მტირისა მის ძღვნისა შემწირველი მოსა და ნაცარი. *)

ამ საბუთიდან ჩანს, რომ ამ საუკუნის დასაწყისში ტფილისში უცხოვრია ერთ ქართველს, რომელსაც საქველ-მოქმედო მიზნით დაუტოვებია ათასი მანეთი. ჭჩანს აგრეთვე, რომ ეს ფული „უკედავათ“ უნდა დარჩენილიყო სამუდამოთ, ხოლო სარგებელი ღარიბთათვის უნდა ჰყოფილიყო მიჩენილი. ჭჩანს კიდევ, რომ შეწირულება გადაუციათ ვიღაც დანიელა ფითუაშვილისათვის, უსათუოთ მაშინდელ ზარაფისათვის, რომელიც ვალდებული იყო მოქცეულიყო მეანდერძეს სურვილისამებრ. ცხადია აგრეთვე, რომ ფული აღარსად არის, ანდერძი არ შეუსრულებიათ და ღარიბთათვის ჩალა ამოუველიათ პირში...

მიუხედავათ მისა, ფული მაინც სადმე უნდა იყოს და თუ ნამდვილი მემკვიდრე არა,—ყვავ-ყორანი მაინც უნდა დაპატრონებოდეს ნაანდერძევს. ეგ ყვავ-ყორანი იქნებიან ის მემკვიდრენი, რომელიც დარჩენ დანიელა ფითუაშვილს, რომელზედაც გადავიდა მისი აელადიდება და რომელნიც, რასაკვირველია, უნდა ჭცხოვრებდენ თფილისში.

მე კარგათ ვიცი, რომ იურიდიულ მხრივ ეგ საქმე სრულიათ წაგებულია, რომ არავითარი საბუთი არ არის სამსჯაეროთი დაიბრუნოს კაცმა დაკარგული. მაგრამ ვიცი აგრეთვე, რომ ფორმალურ სამართლის გარდა, არის კიდევ სხვა, უზენაესი სამართალი, რომელიც სინიდისიერი კაცის თვალში აღემატება ყოველ ნივთიერ საბუთს. ვინ იცის, შეიძლება ისინი, ვინც ვალდებულია გაასწოროს წინაპრის ცოდვა და დანაშაული, ამ გვარი ადამიანები გამოდგენ და თავის ნებით თქვან უარი მასზე, რაც მათ არ ეკუთვნისთ.

ნაანდერძევი ამ ოთხმოცდა ხუთი წლის განმაველო-

*) სულის მოწერიდამ, რომელიც ძნელი გასარჩევია, უნდა ჭჩანდეს რომ მეანდერძე ევსაკვი ტიციშვილია.

ბაში, რასაკვირველია, იბარტყებდა, გადიდდებოდა, გამრავალკეცდებოდა მონაგებით. სარგებლის სარგებელი რომ არ ეიანგარიშოთ, დანიელა ფითუაშვილის მემკვიდრეების ხელში ტყვილა-უბრალოთ ჩაეარდნილი საქველ-მოქმედო შეწირულება ახლა კაი თანხას შეადგენდა და—სარგებლის სარგებელი ხომ კიდევ სხვაა.

როგორ ჰფიქრობ, მკითხველო, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ რომ ჩაუეარდეს ახლა ხელში ეს ფული, მეანდერძეს სურვილი უკეთ შესრულდებოდა თუ არა? რამდენ ღარიბს მოხმარდებოდა იგი, რამდენ უმწეოს და უგზო-უკელოს დააყენებდა სწორ გზაზე, რამდენ ბრმას და უმეცარს აუხელდა თვალს? რუსები რომ იტყვიან: „лучше поздно, чѣмъ никогда“-ო, აი სწორეთ ამ გვარ შემთხვევებზეა გამოჭრილი.

მაგრამ ეს, რასაც ვამბობ,—ოცნებაა, „ხმა მღაღადებელისა უდაბნოსა შინა“. ჩვენ დროში სინდისი იშვიათი საქონელია, რომელზედაც ყველა ყვირის, თუმცა კი არავის უნდა. წინაპრების ცოდვას კი არა, თავისას არ ერიდებიან და მაშასადამე დანიელას დანელებული ფულის დაბრუნებაც, ცოტა არ იყოს, საეჭვოა .. ჯ თუ მე მაინც ესცანი საჭიროთ დამებეჭდა ზემოაღნიშნული საბუთი, მხოლოთ იმისთვის, რომ ერთხელ კიდევ მომეგონებია მკითხველისთვის, თუ როგორ დგება ჩვენში სიმდიდრე; რამდენი ცოდვა, რამდენი უსამართლობა, რამდენი ქვრივ-ობლის ტირილია შიგ ჩართული. რომ კაცმა გამოიძიოს, განა ამგვარი ანდერძები ცოტა იქნებოდა და მერმე კიდევ იმ დროში, როცა ხალხი უფრო ღვთის მავედრებელი იყო და სულზე უფრო ზრუნავდა, ვინემ ხორცზე? ასობით და ათასობით უსათუოთ, მაგრამ არა თუ ისინი,—მათი ხსენებაც კი გამქრალა დღეს, „ვითა სიზმარი ღამისა“...

არა! ბევრი ცოდვაა იქ, სადაც ჩვენ მადლს ვეძებთ და ბევრი ჩირქი ადევს იმ ოქროს, რომელიც ასე ბრწყინავს!..

გვიმატი.

სხვა-და-სხვა ამბები.

ღეს, კვირას, 5 მაისს მუშტაიდში არის დანიშნული ლატარია-ალეგრი „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოთ. იმედია, როგორც მუდამ, წრეულსაც საზოგადოება არ მოაკლებს თავის წელილს და გაიღებს შეწირულებას.

***

ჩვენი ქართველებისთვის არა თუ დიდი დანაკლისია საზოგადო მოღვაწის რომელიმე პირის დაკარგვა, არამედ ისიც როდესაც იმედს იძლევა ახალგაზდა ყმაწვილი და უდროოთ კი გამოეცლება წუთი სოფელს.

ამ დღეებში დაასაფლავეს კლასიკური გიმნაზიის მერვე კლასის მოწაფე გედ. რატიშვილი, გულწრფელი მოსიყვარულე თავის სამშობლოსი.

***

როგორც გაზეთები გვატყობინებენ, ნავთის მწარმოებელთა მეექვსე სხდომაზე განიხილეს სამოწამოქმედო და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს წინადადება შესახებ იმისა, თუ რა შემწეობას აღმოუჩენენ ნავთის მწარმოებელნი ბაქოს მომავალ სამთო სასწავლებელს (горному училищу). საღებ-მიცემო ინტერესებისათვის კავკასიაში და უმეტესათ ნავთის მრეწველობის გასაძლიერებლათ, სამინისტროს განუზრახავს დააარსოს ქ. ბაქოში სამთო სასწავლებელი, რომელსაც მიზნათ ექნება მოამზადოს ტეიგერები და სხვა-და-სხვა თეორიულათ და პრაკტიკულათ გამოცდილი ტეხნიკები. ამ ნაირი სასწავლებლის შენახვა ქალაქს დაუჯდება სულ 25,000 მანეთი. ნავთის მწარმოებელნი ამ ხარჯიდან კისრულობენ 10,000 მანეთს.

***

ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ გურიის სავაჭრო ამხანაგობის „შუამავლის“ გამგეობის წევრებათ ითვლებიან: კონსტ. თავართქილაძე, იაგორ თაყაიშვილი და ვასილი ხუნდაძე. ამხანაგობის აგენ-

ტებათ დანიშნული არიან: თფილისში: იპოლიტე მახარაძე და სიმონ ჭყონია, ბათუმში: ქ-ნი ნინო ქიქოძისა, ფოთში ქ-ნი ნინო ბერეჟიანისა, ქუთაისში ბ-ნი ბეჟანეიშვილი (წიგნის მაღაზია) და განჯაში სოლ. დოლიძე.

საყურადღებო ამბები.

ბ. ილარიონ გამყრელიძეს!

Ემორჩილესად გთხოვთ დამერწმუნოთ, რომ თქვენი აგრე გამაცხარებელი კორრესპონდენცია (კვალი 13 № 1896 წ.) არც დამიწერია და არც ვიცი ვინ დაწერა.

თქვენა ბგონიათ, ეითომც, თუ არ დამიწერია, მონაწილეობა მიმიღია, ე. ი. „პროტექცია" გამიკეთებია კორრესპონდენტისათვის რედაქტორის წინაშე, რომ უკანასკნელს დაებეჭდა. ვერ გამიგია, მე რა პროტექტორი ვარ, ან რა საჭირო უნდა ყოფილიყო ჩემი „პროტექცია" რედაქტორის წინაშე, ამაზე იმედია რედაქციაც დაგარწმუნებთ *).

არ იფიქროთ ბ. ილარიონ, ეს თავის გამართლება მე შიშით მომდიოდეს. რაც თქვენი ჩვეულებრივი შეძლებიდან გამოვიდოდა, მუქარა ჩემზე კიდევაც აღასრულეთ, მაგრამ, გარწმუნებთ, მე ამას სრულიადაც არ შეუშინებივარ და არც შეუწუხებივარ. შეგიძლიათ კიდევ გააგზავნინოთ ჩემზე მაგისთანა თხოვნები (ჩემი საჩხერიდან გაძევების შესახებ).

ხელის მომწერს, უეჭველია, ბევრს იშოვით, რადგანაც, თუ კი ინტელიგენტ კაცს, როგორიც, მგონია, უნდა იყოს თქვენი კბილის ჭია—კორრესპონდენტი, აშინებთ მუქარით, გლეხებს, რომელნიც თქვენ ახლათ შეძენილ ადგილ მამულში ცხოვრებენ, როგორ არ შეეშინდებათ, რომ თქვენი სურვილი აღასრულონ.

დასასრულ მინდოდა თქვენის სურვილსამებრ მომეხსენებია,—როგორ არჩევს აქაური უკეთესი საზოგადოება თქვენს პასუხს და „ქვემოურის" კორრესპონდენციას, მაგრამ ეს სხვისთვის მიმინდვია ჯერ-ჯერობით, რადგანაც მოგერიდებით წყენას, თუმცა დარწმუნებული ვარ, გაწითლებით-კი არ გაწითლდებოდით.

თქვენი უმთრჩიდესი მონა ეარსამნ ჩხეიძე.

* * *

ბატონო რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადო კნ. სოფიო ნაკაშიძისას, რომელმაც ჩემდამო რწმუნებულ მიქელ-გაბრიელის ორკლასიან სკოლას გამოუწერა საყმაწვილო ჟურნალი „ჯეჯილი" ამა 1896 წელს.

მიქელ-გაბრიელ. სკოლის მასწავლებელი სიდოვანი წაქაძე.

* * *

ამ დღეებში რედაქციამ მიიღო შემდეგი ახალი გამოცემანი:

1) ანდერსენის ზღაპრები, თარგმანი ნინო ნაკაშიძისა, წიგნი პირველი, ბათომი, ფასი ორი შაური.

2) თავდგირიძიანთ გვარი და ალი ფაშა თავდგირიძე ზ. ჭ—ძისა, ახალ-სენაკი, ფ. ორი შაური.

3) ჩხუბი ერთი კვერცხისათვის, თარგ. სტ. ხოჯიანაშვილისა, ახალ-სენაკი, ფ. სამი კაპეიკი.

ეს წიგნები გამოცემულია ბ. კ. თავართქილაძის მიერ.

4) შიო თავადი, პოემა დ. ნინოწმინდელისა, თფილისი, ფ. სამი შაური.

5) როგორ ცხოვრებენ ჩინელები? ი. ცისკარაშვილისა, თფილისი, ფ. ერთი აბაზი.

უკანასკნელი ორი წიგნი გამოცემულია ბ. ი. როსტომაშვილის რედაქტორობით.

---

*) ჩვენ გუმოწმებთ ბატონ ვ. ჩხეიძეს რომ მას არც ამ კორრესპონდენციის დასტამბვაში მიუღია მონაწილეობა და არც „ეკვალის" დაარსებიდან გამოუგზავნია მას რაიმე ნაწერი. ან რა საჭირო იყო მისი პროტექცია, როდესაც ჩვენ თითონ კარგათ ვიცნობთ საჩხერეღებს.

რედ. ან. წერეთლისა.

წლიური ანგარიშები.

(თბილისის თავად-აზნაურთა შეუძლებელ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოების და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კრება).

შვიათია ისეთი პოეტი, რომ შესხმა არ უძღვნას მაისს, ამ ვარდ-ბულბულის თვეს; არ არის ისეთი ქვეყანა, რომ სიხარულით, ლხენით არ დაუხვდეს ამ თვეს, მეტადრე როდესაც მდიდარი ბუნებაც ხელს-უწყობს და ამ დღისთვის ტყე-ველს აყვავებულს დაახვედრებს. მაგრამ ჩვენ დალოცვილ საქართველოში საქმეები სულ ხიბრეულათ მიდის. სწორეთ ამ დროს მოგვინდება ჩვენ საქმიანობა, ანგარიშების გაკეთება, წესდებების წაკითხვა.

გამრჯე მემამულეებისთვის ეს დრო ძალიან ძვირფასი უნდა იყოს; იგი უნდა თავის მამულში დაუხვდეს გაზაფხულს და იმედებით გამსჭვალულ მხნეთ შეუდგეს საქმეს.

რას ვხედავთ ამის მაგივრათ? განხეთქილებას, უსიამოვნობას, ბაქი-ბუქობას და სერიოზულ კრიტიკის მაგივრათ — წერილმანობას, ჩვენ დაქვეითებას.

დავაკვირდეთ სხვა ქვეყნებს, ვინ იტყვის, რომ იქაც უცოდველნი იყვენ, მაგრამ ნამდვილ კრიტიკას პირველი ადგილი უჭირავს, პატივსცემენ კალამს, აზრს და არ წამებენ მოპირდაპირეს ყოველ გვარ სისაძაგლეს.

ქართველები გამოცდილები ვართ, ვიცით რა ძვირათ დაგვიჯდა შინაური განხეთქილება და სიფრთხილე გვმართებს.

უცხო ქვეყნებში თითქმის ყველგან იანვრისთვის არის დანიშნული საზოგადო კრებები; ყველა ამ დროსთვის ცდილობს საქმეებს თავი-თავს მოუყაროს, ანგარიშები გაწმინდოს, ჩვენ კი ის ანგარიშებიც, რაც კელავ იანვარში გვქონია — ახლა მაისში გადმოგვაქს. მაგალითათ: წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას არა ერთხელ გადაუტან-გადმოუტანია თავის საზოგადო — კრებები; დაეძებს იმისთანა დროს, რომ იქნება, ჩვენმა აგრეთ წოდებულმა ინტელიგენციამ მიაქციოს ყურადღება და უბრალო ლაპარაკის მაგივრათ შრომით — მუშაობით გაუძღვეს წინა. თორემ ამ კეთილ და ფრიად საგულისხმო დაწესებულებას შეაბერეს თავი ორიოდ პირმა და რასაც აკეთებდენ ამ ათ-თუთხმეტი წლის წინეთ, თუ არ ნაკლები, ახლა მეტი არა კეთდება რა. წელიწადში ერთ ორ წიგნს გამოცემენ, (აქ არ შეეხები ბ. გოგებაშვილის გამოცემებს, რადგან ეს კომერციული საქმე უნდა იყოს.) მიაწოდებენ შემწეობას რამდენიმე სკოლას და სამკითხველოს და შეაქებენ იმ ორიოდ სკოლას, რომელიც ნეტარ ხსენებულ დროს გახსნეს და ახლა თითქმის აღარ ეკუთვნის „საზოგადოებას“.

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კრება ჯერ არ ყოფილა და ამაზე მერე ვილაპარაკებთ. ახლა გადავიდეთ თავად-აზნაურთა შეუძლებელ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოების კრებაზე. როგორც დანიშნული იყო მოხდა 25 აპრილს და რადგან ბანკის თეატრის დარბაზი მოუცლელი იყო კრება შედგა თვით ბანკის შენობაში.

წინა დღით დაგვირიგდა ეს გვერდიანი ანგარიში, რომელშიაც ოთხი ნაწილია და შესაფერი წინასიტყვაობა. ამ ანგარისში მოყვანილია ურიცხვი განაჩენები, რამდენიმე მოხსენებები (სხვათა შორის ისიც, რაც შეწყნარებული არ იყო საზოგადო კრებისაგან.)

კრება გაიხსნა კნ. მარიამ ჯამბაკურიან — ორბელიანის თავჯდომარეობით; თავდაპირველათ განსვენებული ეპისკოპოსის გაბრიელის სახელის მოსახსენებლათ კრებამ ერთ ხმათ გადასწყვიტა იქონიოს ერთი სტიპენდია სათავად-აზნაურო სკოლაში.

კრებაზე, რასაკვირველია, ანგარიშის წაკითხვა შეუძლებელი იყო და მხოლოთ ქალთა სკოლის და სამეურნო სკოლის კომისიების მოხსენებები წაიკითხეს; და რადგან დარბაზში დიდი ეიწროობა და სიცხე იყო ყველა ერთ ხმათ თხოულობდა გადედოთ კრება და ბანკის თეატრის დარბაზში დაენიშნათ. ამას ასაბუთებდენ იმით, რომ ბევრი სათქმელი და განსასჯელი გვაქს სკოლების დაარსების შესახებო. მართლაც მეორე დილისთვის გადადეს კრება, რომელიც მოხდა კიდეც თეატრის დარბაზში. მაგრამ შენმა მტერმა ნახოს, მკითხველო, ისეთი სიჩუმე, რისაც მნახველი ვიყავით მეორე დილას. თითქოს ყველასთვის წინა ღამის ლაპარაკის სურვილი სიზმარი ყოფილიყოს. ყველაფერზე კრება მოკლეთ უპასუხებდა, ყველაფერზე თანხმობას აცხადებდა, ყველაფერს ანდობდა კომიტეტს. მხოლოთ ერთ ფრიად საყურადღებო განკარგულებას დადგა კომიტეტიც და წევრებიც: რომ ბანკს თხოვონ ყველა ის ფულები, რომლებსაც ბანკი საზოგადო საქმეთა დასაკმაყოფილებელ თანხისთვის გადადებს და დღეიდენდიან გადარჩენილი 10 პროცენტი სამეურნეო თანხისა გადაეცეს სკოლის კომიტეტს. მართალია, ეს თხოვნა პირველი არ არის და არც იმედია, რომ შეიწყნარონ, მაგრამ ამაზე ლაპარაკი ჯერ ადრეა. დასასრულ, არ შეგვიძლია არა ვთქვათ, რომ კომიტეტს დაეკლდა ერთი თავისი საუკეთესო წევრი, რ. ყაზიბეგი, რო-

მელიც სამსახურის გამო პეტერბურგში იქნა გადაყვანილი. მის მაგიერ აირჩიეს ვ. ყიფიანი.

* * *

ოხ, მეგობარო, ყმსა მმიმესა,
როდესაც ტრემლი მოაწვეს თვალებს,
და ვით ყორანი დაკოდილს ირწიოს
შავ-ბედი მწარეთ ჩაგიყრით ფრჩხილებს,
ნუ, ნუ შედრკებით, ნუ დაუტეხით,
სამარადისოთ ნუ გაიტეხთ გულს,
სხვა თუ არა-რა... ტრემლის ზღვა მაინც
დუსტირს ცხოვრებას ამოჭხუთავს სულს!

ი. ეედოშვილი.

ცხოვრება და მწერლობა.

(გაგრძელება *).

ვინა წერილებში გამოვარკვიეთ, რომ ჩვენმა ცხოვრებამ ახალი მიმდინარეობა მიიღო და ერი ახალ გზაზე გამოიყვანა. მაგრამ აქ ერისათვის ფრიად საჭირო იყო, გზის მაჩვენებელი, დამხმარე ძალა გამოჩენოდა, რომ ყოველი ნაბიჯი წინ მტკიცეთ, მოსაზრებით გადაედგა, მარცხს აცდენოდა და ფეხი არსად წაემტვრია. სხვაგან, სადაც ერი თავისიეე თავის გამგე და პატრონია, მას საზრიანათ აქვს მომართული მთელი საზოგადოებრიეი აგებულება. ასეთ ქვეყნებში საზოგადოებრიეი ფუნქცია განაწილებული და გაყოფილია და ყოველ ერის მოთხოვნილებას საგანგებო, ცალკე დაწესებულება აქვს მიჩნეული დასაკმაყოფილებლათ, განსახორციელებლათ. აქ, მაშასადამე, თვით ეს დაწესებულებანი არიან ერის გზის მაჩვენებელი, წინამძღოლი და მისი ჭირისა და ვარამის დამაამებელი. მწერლობას აქ მხოლოთ ის-ღა მნიშვნელობა აქვს, რომ დახმარება გაუწიოს სხვა დაწესებულებათა ერის ნამდვილ მოთხოვნილებათა სავსებით და უნაკლულოთ გამოცნობაში. ასეთ ქვეყნებში ყოველგვარი დაწესებულება წმინდა ეროვნულ ნიადაგზე დგას, და ამიტომ ერთსულობაც სრული სუფევს. თუ აქ აღგილი აქვს კამათობას და შეჯახებას, ეს გამოწვეულია რთულ საშინაო საქმეთა ამა თუ იმა დროებითი ზომების შემოღებისა გამო. ჩვენში კი მწერლობა ასე ეიწროო ფარგალში ვერ მოთავსდებოდა, თუ სურდა ერის ნამდვილი ტკივილების გამომხატველი და დამაამებელი ყოფილიყო: დრომ და „ქამთა სიავემ“ მოქმედების ფარგალი გაუფართოვა...

ერი ყოველ გვარ უფლებას მოკლებული იყო. იგი თავისი თავის გამგე და მმართველი როდი გახლდათ. ნება ჩამორთმეული ჰქონდა თავის საოგებლობასა და საჭიროებაზე ეფიქრა, ეზრუნა. მას განაგებდა სულ სხვა, სხვა ჰაერზე და სხვა ცის ქვეშე გაზდილი. ეს ახალი ლალა, ეს ახალი გამდელი, რასაკვირველია, იმ ცოდნასა და ფიქრში კი არ იყო, რომ ერს შეხორცებოდა, არამედ მისი სურვილი იყო, ჩვენი ერი თავის მსგავსათ გარდაექმნა. მოქმედებისა და ამა თუ იმა ზომებისათვის ჩვენი ცხოვრების ნამდვილი საჭიროება და ერის კეთილ-დღეობა კი არა ჰქონდა სარჩულათ დადებული, არამედ სულ სხვა ერის, სხვა ხალხის. ზრახვა მისი სულ სხვა იყო, საიდუმლო... ამიტომ ჩვენ ერს თავს ახვევდა სრულიათ მზა-მზარეულ დაწესებულებას, წესსა და რიგს, რომელიც ცხრა მთას იქიდან გადმოჰქონდა, და როდი გიკითხავდა, შეხამებული, შეფერებული იყო იგი ჩვენ ცხოვრებასთან, თუ არა. შეიძლება ასეთი მოქმედება გულ-წრფელობითაც მოსდიოდათ. ყველას საზოგადოთ თავისი მოწონს და ჰგონია, რომ, რაც მისთვის მოსაწონია, სხვებისათვისაც ასეთიაო. მაგრამ, მოგეხსენებათ, შეცდომასა და სიმახინჯეს, მანკიერობას, გულ-წრფელობა ნიშნობლივ თვისებას ვერ ჩამოართმევს და ბიწიერებას სათნოებათ ვერ გარდაქმნის. უფრო ხშირათ კი გულ-წრფელობაც დაეიწყებული იყო და ცხოვრებაში ისეთი წესი და რიგი გაჰყვედათ, რომელიც ჩვენი ერისათვის არა თუ გამოუსადეგარი, არამედ მავნებელიც იყო. აი, ასეთ მდგომარეობაში ამოგვაყოფია თავი „ქამთა სიავემ“ და ცხოვრების ჩალხის ტრიალმა. მაშინ, როცა თვალების ამხელი და გზის მაჩვენებელი ძალზე გვესაჭიროებოდა, სწორეთ ამ დროს უფრო გზის ამრევი და თვალების ამბმელი გვყავდა.

ასეთ მდგომარეობაში ჩაყენებულ ერს, მოსარჩლეთ, მისი ინტერესების გულ-წრფელ დამცველათ მწერლობა უნდა მოვლინებოდა—მწერლობა ქართული, ქართულ ნიადაგზე მტკიცეთ დამყარებული და ერის გულში დრმათ ჩასედული. იგი უნდა ჩამდგარიყო ერისა და მის გამგებელთა შუა და ეს პოზიცია, რათაც უნდა ღირებოდა, უნდა დაეცვა. ჩვენი ცხოვრების ნამდვილი მიმდინარეობა უნდა ზედ-მიწევნით შეეკნო, დაწერილებით შეესწავლა, სულ უბრალო მოვლენაც კი თვალთა ხედვიდან არ უნდა გამოჰპაროდა,

*) იხ. ამ წლის „კვალი“, №№ 4—5.

და ამნაირათ ცხოვრების ნამდვილი სარკე გამგებელთათვის თვალ-წინ დაეყენებია. გარდა ამისა, მწერლობას ისიც მხედველობაში უნდა მიეღო, რომ გონებით საზრდო, რომელსაც მისგან საზოგადოება თხოულობდა, დამაკმაყოფილებელი და შესაფერი ყოფილიყო. თორემ, თუ ქართული მწერლობა საზოგადოებას სულიერ მისწრაფებას, ფიქრისა და აზროვნების წყურვილს ვერ მოუკლავდა, მაშინ, უეჭველია, საზოგადოება მას ჩამოეცლებოდა და იმას მიეკედლებოდა, ვინც შესაფერ საზდოს აძლევდა, აწვდიდა. ასე ორ-მოგვი ხასიათისა იყო ჩვენებური მწერლობის მოვალეობა. მისი ბედიც ამ მოვალეობის შესრულებაზე იყო დამოკიდებული: თუ საზრიანათ შეასრულებდა, ერის მესვეურათაც შეიქნებოდა და ერი მადლიერი კვალში მიყვებოდა, მის სიტყვას მტკიცეთ გულში ჩაიჭდეედა და ასე ხელის-ხელ გაყრილი იქნებოდა მწერლობა და საზოგადოება. მაგრამ მწერლობამ ვერ შეასრულა, თუ ვერ შეიგნო, ეს თავისი მოწოდება. ჩვენი ცხოვრების ნამდვილი საჭიროება დაივიწყა, ნიადაგი, ცხოვრებასთან დამაკავშირებელი, დაჭკარგა და სხვის ფეხის ხმას აჰყვა. საზოგადოებამაც პირი შეუბრუნა, ზურგი უჩვენა მას და... ერთმანეთს დაშორდენ.

საქმე ის არის, რომ მთელი რუსეთი გლეხთა სახელმწიფოს წარმოადგენდა და წარმოადგენს დღესაც. ზოგიერთ რუსს თავიც მოაქვს ამითი და მეტიჩრობს კიდეც, რომ რუსეთი საგლეხო სახელმწიფოა. ამიტომ რუსეთის მაშინდელი მწერლობა გლეხს თავს დასტრიალებდა, მას ეტრფოდა, მის სურვილთა და მისწრაფებათ უმაღლეს საკაცობრიო იდეალათ ისახავდა. მომავალი საზოგადოებრივი განწყობილება, ამ მწერლობის წარმოდგენით, იგივე **სოფლური, გლეხური ურთი-ერთობა** და **დამოკიდებულება** იყო. ასეთი სასაცილო მიმართულება მიიღო რუსეთის მწერლობამ. მაგრამ, რომ თქვას კაცმა, ამ მიმართულებას ცოტა რამ ნამდვილის ნიშან-წყალი მაინც ჰქონდა და იქ არც იმდენათ მავნებელი იყო, რადგან იქ კიდევ სხვა ძალა მოიპოვებოდა ერისათვის მზრუნველი. ამიტომ ამ ორ ძალას შეეძლოთ ერთმანეთი შეესწორებიათ და შეთანაბრებულიყვენ. ჩვენშიაც, რასაკვირველია, მკვიდრთა უმეტესობა გლეხობას წარმოადგენდა. მაგრამ ამ გლეხობის გული და სული, თუ კი მას გადაშლიდით და ღრმათ შიგ ჩახედავდით, სულ სხვა იყო. ჩვენი ქვეყნის ადგილ-მდებარეობა და სიმდიდრე ბუნებრივი, ჰაერისა და ნიადაგის სხვა-და-სხვაობა, მკვიდრთა ბუნებრივი სიმკვირცხლე და გამჭრიახობა—ყოველი ესე საკმაო საბუთს იძლეოდა, რომ თვისი ძალა სხვაფრივ უნდა აგვემუშავებია. პირველ წერილში ვნახეთ, რომ გლეხიც და ბატონიც სოფლათ მეტათ ცუდ მდგომარეობაში გრძნობდენ თავს. ამიტომ ორივე გადმოფრენას ლამოდენ „სასოფლო ბუდიდან“. ის გარემოებაც, რომ ქალაქები სხვების ხელში იყვენ, აგრეთვე ძალას გვატანდა დაჩვეულ მამა-პაპურ უშფოთველ ცხოვრებას და ქოშებით დარბაისლურათ ეზოში სიარულს უნდა გამოვთხოვებოდით. ცხოვრება, მართლაც, ამ გზას დაადგა. ეს განსაკუთრებული ვითარება კი ჩვენმა მწერლობამ ვერ შეიგნო. იგი მიმბაძველობით, ბაიყუშივით იმეორებდა სხვის სიტყვებს და მაშინ, როცა ჩვენ სოფლიდან მოვდიოდით, სოფლათვე გვერეკებოდა, უკანვე დაბრუნებას გვიპირებდა. მწერლობა სოფლის მიმზიდველ სინარნარეს და უზრუნველ ცხოვრებას გვირჩევდა დაეწაფებოდით; ამ დროს კი ჩვენი ქალაქები სხვების ხელში გადადიოდა. სოფლის ვიწრო სამოქმედო ფარგალში გვირჩევდა მწერლობა დაეტრიალებულვიყავით, და ამ დროს კი ჩვენი მეზობლები ქალაქებში მრავლდებოდენ, ახალ-შეხედულებას და მისწრაფებას იფართოვებდენ, ცხოვრებაში საბრძოლველათ მოხერხებას იძენდენ. უცხოეთის კაპიტალიც, რადგან თავის სამშობლოში სამოქმედო ასპარეზით ვერ კმაყოფილდებოდა, სხვა ქვეყნებშიაც იხიზნებოდა საწარმოოთ, სამოქმედოთ. ეს კაპიტალი ჩვენც მოგვაწყდა და ყურთან აგვიკივლა ორთქლით-მავალი და მატარებელი... შინაური და გარეული, ყველა დატრიალდა, ყველა ჩაერია საქმეთა ასეთ ვითარებას, ყველა ფაცი-ფუცსა და ფათურს შეუდგა და ლამობდა მთელი საქართველოს სიმდიდრე, ქონება ხელთ ჩაეგდო. ქართველებმაც ყური ათხოვეს ამ ფათურს, თვალი მოჰკრეს ამ უჩვეულო მოჭრაობასა და მოქმედებას... და თითონაც ჯერ ისე, საცდელათ, მერმე კი უფრო გულმოდგინებით ჩაერიენ ცხოვრების ამ ახალ ტრიალს. აი, ასე ძირეულათ იცვალა ფერი ცხოვრებამ, მისმა მიმდინარეობამ და სამოქმედო მისწრაფებამ. ჩვენი მწერლობა კი, სადღაც კუნჭულში მიმჯდარი, სოფლური ურთი-ერთობის უპირატესობაზე, გლეხური წარმოდგენისა და სათნოების უზენაესობაზე ჩიჩინით თავს გვაბეზრებდა... რაღა გასაკვირველია, რომ ერის გული, ახალი ქარ-ტეხილით აზვირთებული, შემოზღუდული ნაპირების წასალეკათ, ასეთ მწერლობას ყურს არ ათხოვებდა და აღარას გაუგონებდა. ჩვენი მწერლობისაგან ცხოვრების ვითარების ასეთი გაუგებლობა უნებლიეთ ჰამლეტიდან იმ ადგილს მაგონებს, სადაც ჰამლეტსა და დედოფალს სასტიკი მოლაპარაკება აქვთ. ამ დროს ოთახში მამის აჩრდილი გამოჩნდება. ჰამლეტი დედის მხილებას თავს ანებებს და აჩრდილს მიმართავს, მოკრძალებით ლაპარაკს იწყებს მასთან. დედოფალს აკვირვებს ჰამლეტის

ასეთი ქცევა, აკვირვებს და ახალ საბუთს აძლევს ჰამლეტის სიგიჟისას. გაკვირვებული დედოფალი ეკითხება:

— ვის ეუბნები მაგ სიტყვებსა?

— იქ ვერას ხედავ?

— ვერაფერს, თუმცა უხედავი არა მრჩება-რა!

— არც არა გესმის?

— არაფერი, ჩვენი ხმის მეტი. *)

სწორეთ დედოფალის მდგომარეობაში იყო ჩვენი მწერლობა: დედოფალსავით კმაყოფილი და გულწრფელათ დარწმუნებული, რომ უხედავი არა რჩებოდა-რა და ვითომც ყველაფერი ესმოდა. ასე კმაყოფილია ხოლმე კაცი გონებისა და აზრის სიზანტეს დაჩვეული, სულის სიმკვირცხლეს მოკლებული!.. უბედურს ცხოვრების „ფრთების შრიალი“, ჰეინესი არ იყოს, როდი ესმის...

ახალი ვითარების მეორე ფრიად საგულისხმო მხარეც ვერ შეიგნო ჩვენმა მწერლობამ. საქმე, აი, რაში გახლდათ.

ახალ ვითარებას და მიმდინარეობას, რომ ჩაერია ქართველობა, ნათლათ დაინახა, რომ მისი ინტერესები და მისწრაფებანი ეჯახებიან, ეპირისპირებიან სხვებისას. აქ, მაშასადამე, მეტოქეობამ და შეჯახებამ იჩინა თავი, სამკედრო-სასიცოცხლომ. მაგრამ ამავე დროს, ყველასათვის, ისიც ნათლათ შესამჩნევი და დასანახავია, რომ სხვებს, ქართველების მეტოქეთ, წამქეზებელნი, დამხმარენი ჰყავთ. ქართველობა სრულებით მოკლებულია ასეთ ძალას. ამ უმწეობამ და მარტოხელობამ ცხოვრების სარბიელზე, ნათლათ და თვალ-საჩინოთ წინ წამოაყენა ნამდვილი ᲙᲠᲝᲜᲣᲚᲘ ᲬᲐᲡᲕᲚᲐ. ჩვენი მწერლობა კი აინუნშიაც არ იღებს ამ ფრიად საგულისხმო ფაქტს დიდისა და უაღრესი მნიშვნელობისას. იგი ისე, ღლაბურცით და გაკვრით თუ შეეხება ამ კითხვას, თორემ ძირეულათ როდი იკვლევს: ეშინია, რიდი აქვს, განხეთქილება არ ჩამოვაგდო მეტოქეთა შორისო. მაგრამ ეს ხომ თავისი თავის მოტყუებაა, ბანზე სიტყვის აგდებაა. ცხოვრების სინამდვილეს, რაც უნდა ეცადოთ, ვერ მიაფუჩეჩებთ. პირ-იქით, რაც ადრე და მალე გამოირკვევა იგი, მით უმჯობესია...

მართალია, სასიხარულოა, რომ ქართველობა ჩაერია ამ ახალ ვითარებას. მაგრამ ჯერ გამარჯვების დღესასწაული ადრეულია: ბოლო ვისია, ვინ იცის. ამიტომ გული სხვას გვითხრობს, გულ უბრყვილო რწმენასა და იმედს გვართმევს და გამარჯვების ეჭვს გვიბადებს. ვინ იტყვის, იმედიანობა კარგი არ არისო, მაგრამ ფუყე და ყალბი იმედიანობა ცხოვრებაში, სადაც განუწყვეტელსა და ულმობელ ბრძოლას აქვს ადგილი, ვერაფერი ფონია და უფრო მაენებელი და მაზარალებელიცაა. ეჭვს მით უფრო აქვს ადგილი, რომ სხვები ჩვენზე ადრე გამოვიდენ ამ სარბიელზე, ამ საქმეს ჩვენზე წინ მიყვეს ხელი, ამიტომ მათ მეტი გამოცდილება, მეტი ბეჯითობა მოეპოვებათ. ზოგს კი ეს გარემოება ეჭვის მაგიერ, იმედს ულვიძებს. ახსნა მათი, თავისებური და ახირებულია: რადგან სხვებმა ადრე იწყეს ეგ საქმე, ამიტომ ისინი ძველ წესს შეეჩვიენ, ახალს ვეღარ შეითვისებენ და ერთ წერტილზე შეჩერდენ... ვისაც ასეთი მოსაზრებით შეუძლია დაკმაყოფილდეს, მას, რასაკვირველია, ეჭვიც არრისა ექნება. მაგრამ ვისაც შეუძლია ღრმათ ჩახედოს საქმეს, მას ასეთი ზედაპირული მოსაზრება საბუთათ ვერ გამოადგება. ან რა საბუთი გვაქვს, ჩვენი თავი მეტი წინმსრბოლი ძალის მექონეთ აღვიაროთ, სხვები კი გაქვავებულ, გაშეშებულ რათმე წარმოვიდგინოთ... ამიტომ გვგონია, რომ ჩვენ უფრო სუსტნი და გამოუცდელნი ვართ. საქმის წარმართვა კი, მოგეხსენებათ, უმეტესათ გამოცდილებაზეა დამოკიდებული. ეჭვს კიდევ ის გვიმატებს, რომ შეიძლება იმ ძალამ, რომელიც სხვებს ქომაგობს, ქართველობა, ამ ხანათ წელში გამართული, სრულებით და ულმობელათ წელში გაწყვეტოს. თუ ამდენ ხანს ეს ძალა ჩვენში მეტ-ხორცს წარმოადგენდა და გარეითათ მაყურებელი იყო, ახლა ისიც გამოფხიზლდა და ცდილობს უფრო მაგრათ ჩაუჭიროს კლანჭები თავის ნადავლს... ერთი სიტყვით, თუ მართალია, რომ ჩვენ ფერი ვიცვალეთ და გამოვფხიზლდით, ისიც მართალია, რომ სხვებმაც ეს ცვლილება განიცადეს. ამიტომ—რუსულათ ვიტყვით—наши силы абсолютно возросли, но относительно нѣтъ. აი, სწორეთ აქ არის ძაღლი დამარხული და ჩვენი ეჭვიც სამართლიანია.

P. S. ჩვენ გვსურდა დაგვენახვებია, რომ მწერლობამ ნამდვილი ცხოვრების მიმდინარეობას ალღო ვერ აუღო, მას კვალ-და-კვალ არ მისდევდა. ცხოვრება რომ ახალ გზას დაადგა, მწერლობამ მას უკან დაუწყო წევა. მაგრამ პირველმა თავის გზას მაინც არ აუხვია, და უმეცარ მოყვრის რჩევას ყური არ ათხოვა. ახლაც მწერლობას ცხოვრებამ წინ დაუყენა საკითხი, თუ როგორი განწყობილება და ურთიერთობა უნდა ჩამოვარდეს, რა ფარგალში უნდა შეთანხმდეს ქართველობა და სხვანი. მწერლობა კი ამ საეალდებულოთ გადასაწყვეტ საკითხს უფრთხის, გვერდს უვლის, რადგან სირცხვილი და რიდი აქვს. ასეთი დაშორება მწერლობისა და ცხოვრებისა კი ფრიად სამწუხარო და საეალ-

*) იხ. ᲰᲐᲛᲚᲔᲢ. გვ. 90.

ლოა. ეს მომაკედინებელია მწერლობისათვის და მისი გამათახსირებელია. არც ცხოვრებისათვის არის ეს სასარგებლო. ჩვენში მით უფრო საზიანოა ასეთი ვითარება. ჩვენთვის მოსარჩლეთ, წინამძღოლათ და გზის მაჩვენებლათ ისევ მწერლობა უნდა გამოვიდეს: სხვა არავითარი ძალა ჯერ-ჯერობით არ მოგვეპოვება. ეს განსაკუთრებული მნიშვნელობა, რაიცა აწინდელმა ჩვენმა ცხოვრების ვითარებამ მიანიჭა მწერლობას, მან აუკილებლათ უნდა დროზე შეიგნოს.

ᲝᲡᲘᲡ.



ᲑᲠᲐᲛᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲚᲝᲪᲕᲐ ᲕᲣᲚᲙᲐᲜᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲘ.

ᲑᲠᲐᲛᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲚᲝᲪᲕᲐ ᲕᲣᲚᲙᲐᲜᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲘ.

ᲑᲠᲐᲛᲘᲜᲔᲑᲘᲡ დედა ბუდეთ ინდოეთია მიღებული, მაგრამ ჩვენ დროში ბრამინიზმი ინდოეთიდან სამხრეთისაკენ მდებარე კუნძულებზეც არის ძლიერ გავრცელებული. ამ კუნძულების ბრამინების შესახებ ერთი მგზავრი დალმეიდა შემდეგ საინტერესო ცნობებს გვაძლევს.

„რამდენიმე წლის წინათ მე ვიყავი დაპატიჟებული ბრამინების დიდ დღესასწაულზე, რომელსაც ბრომოს ეძახიან. ეს სახელ-წოდება წარმოდგება იქიდან, რომ ერთ დღეს ბრამინები იკრიბებიან გამქრალი ვულკანის ახლოს, რომ ბოროტ სულებს შეაბრალონ თავი. იმათი აზრით ვულკანიდან ხანდახან მოისმის ამ ბოროტ არსებათა კვნესა. „უმაღლეს არსებას ანუ სულს“—პენგურუ გენონგს, რაიც ნიშნავს მთების მფარველს,—ამ დღეს მიართმევენ ხეხილს და შინაურ ფრინველს თუ ამ არსების ბღავილი 50 მილის სიშორემდის ისმის, იმ შემთხვევაში ბრამინები ამბობენ, რომ იგი თბოულობს კაცის ხორცსო. სადღესასწაულო ადგილი დანიშნულია ვულკან ბრომოდან ერთი ვერსის სიშორეზე, საიდანაც გამოდის სულის შეშხუთვი კვამლი. აქ იკრიბება აუარებელი ხალხი, რომელიც ერთ და იმავე დროს კიდევაც ჭამს და ლოცულობს, სვამს და მღერის. აქ ნახავთ სოფლების მამასახლისებს—მანტარიებს, რომლებიც სადღესასწაულოთ არიან გამოწყობილი და რომლების მაღლა მოსამსახურებს უკავიათ ქოლგე-

ბი. სხვათა შორის, აქ მოდიან არაბებიც, რომლებიც სხვა-და-სხვა ავათ-მყოფობისაგან და უბედურებისაგან დასაცავ ამულეტებს (ავგაროზებს) ჰყიდიან.

„მსხვერპლის შეწირვისათვის კაი ძალი ადგილია დატოვებული. ახალგაზდა და მოხუცი ქურუმნი, მღვდლები, დაჩოქილი არიან. თითოეული იმათგანის წინ დგას მოზდილი ყუთი სანდალის ხით და სხვა-და-სხვა სურნელებით, კალათები ინდოეთის ლერწმით, წმიდა წყლის სასხურებელნი, ბანანის დახვეული ფოთლები და სხვა. თითოეული ქურუმის უკან პატარა ბავშს უკავია ფართო პაიონგი (ქოლგა). ქურუმები ამ დღეს იცვამენ თეთრ ტანისამოს და წელზე ირტყამენ ფართო წითელ სარტყელს. მხრებზე გადადებული აქვთ აბრეშუმის ოლარი. როცა ანიშნებენ, იმ დროს ხალხი მიუახლოვდება ქურუმებს და ლოცვით მიართმევს თავის მსხვერპლს, რომელსაც ქურუმები ასხურებენ წმიდა წყალს

„ამ ცერემონიის დროს ხალხში ჩვეულებრივათ გაისმის: „აიო! აიო! ბრომო! წავიდეთ ბრომოსთან!“ და ხალხი გარბის ეულკანისაკენ, იმ რწმენით, რომ ვინც პირველათ მიახწევს იმას, ის ბედნიერი იქნება. როცა მიუახლოვდებიან ეულკანს მის პირში გაისვრიან თავის მსხვერპლს. ამას შემდეგ ხალხი ბრუნდება უკან და ეძლევა გართობას, თამაშობას, ცეკვას და სხვ.



ბაში—აჩუკ.*)

ერთხელ მთვარიან ღამეში აბდუ-შაჰილი მხართეძოს წამოწოლილი რომ იყო და ჩვეულებრივათ ტკბილ მოგონებით გატაცებული, გაბრუებული ოცნებობდა, შრიალი მოესმა, მოიხედა, დაიყვირა, ზეზე წამოვარდა, რამდენიმე ბიჯი უკან გადადგა, მოისვა ხანჯალზე ხელი და გაშრა, თითქო ენა ჩაუვარდაო. მის წინ იდგა ის, ვისაც ეს იგლოვდა და ტიროდა.

—შორს ჩემგან! შეგაჩვენოს მაჰმადმა, თუ ფარსაგი სული არა ხარ! მიაყვირა ხელის ქნევით.

—ნუ გეშინია, მე ისა ვარ, ვისაც შენ იგლოვ და სტირი!—მიუგო დამშვიდებით ქალმა.

—სული, ჩემ სანუგეშოთ და დასატკბობლათ საიქიოდან მობრუნებული?

—სწორეთ შენთვის და შენთან მოსული, მაგრამ სული კი არა, ხორც შესხმული, ცოცხალი ადამიანი, შენს სიყვარულზე დარწმუნებული და შენი მოყვარული.

—როგორ! გაცოცხლდი?

—მე მკვდარი არა ვყოფილვარ.

—მაშ ეს?—მიუთითა გაოცებულმა საფლავზე.

—შეცდი, ეგ და იყო, საბრალო პირ მთვარისა ჩემი ტყუპის ცალი და მგვანი! მე კი პირი მზისას მეძახიან.

—დაილოცოს ღმერთო შენი განგება!—დაიღრიალა აბდუ-შაჰილმა, მივიდა და დაუჭირა ხელები—მითხარი! მითხარი! სიზმარია თუ ცხადი! როგორ მოხდა ეს ყველაფერი, ამიხსენი, თვარა გონება მეკარგება!—მეტი აღელვებისაგან ფეხზე ვეღარ დგებოდა და ჩაჯდა, ქალი მიუჯდა გვერდით ახლო და ალერსიანათ უთხრა:

—აი, ხომ ხედავ, რომ არ გერიდები? ამიტომ რომ და ვარ შენი, თუ გაგონდება, სწორეთ ამ ადგილას, გულშემოყრილი რომ გამომბრუნე, ძმობა მითხარი და ვიცი ვაჟკაცის სიტყვა არ გატყდება. იმ დღიდან მეც შენი სიყვარული ჩამიყარდა გულში, მაგრამ როგორც უნაყოფო რამ და გაუხორციელებელი. რადგანაც რჯულის სხვა-და-სხვაობა ჩვენს ერთობას ხელს უშლიდა, ის გრძნობა გადავიტანე დაძმურ სიყვარულზე და დავმორჩილდი ბედს.

თათარი გაოცებული უსმენდა და ბოლოს ხმის კანკალით ჰკითხა:

—დაო, მაგრამ დაზე უტკბესო, შემატყობიე როგორ ვადარჩი და ან აქ ვინ მოგიყვანა?

—მონასტერი რომ აიკლეს, ჩვენ რამდენიმე აგვარჩიეს; ტყვეთ უნდოდით წაეყვანეთ, მაგრამ იმ არეულობის დროს თვალსა და ხელ შუა გავეპარე მე და იქვე უცბათ მივიმალე: მახლობლათ ცარიელი ქვევრი მეგულებოდა და შიგ ჩავძვერი. როდესაც მონასტერს ცეცხლი წაუკიდეს და წავიდენ, გამოვედი, აქვე ტყეში დავიმალე, გიყურე საცოდავ ჩემ დას რომ გლოვდი და ან როცა დამარხე; ვიცოდი რომ მე გეგონე და სიყვარულზე სიყვარული მემატებოდა. მას აქეთ, აქ ვდგევარ ერთ გამოქვაბულში და ხშირათ გხედავ ხოლმე ფარულათ აქ მჯდომარეს. დღეს გულმა აღარ გამიძლო, გამოგეცხადე. ახლა ამის მეტს ვერაფერს გაიგებ ჩემგან და თუ კიდე მეტი გინდა შეიტყო, წამამყვეი სადგურზე, მაგრამ იმ პირობით კი რომ, რაც უნდა ნახო არ გაიკვირო და არც იარაღი იხმარო. მენდობი?

—გინდ ჯოჯოხეთშიაც წამიყვანო.

—ფიცი?..

—ვფიცავ თვით მაჰმადს.

—რომელსაც ქრისტიანები ვერ ვენდობით!

—მაშ თვით თქვენ ქრესტეს!..

*) იხ. „ᲙᲘᲐᲚᲘ“ № 19.

—შენი რა არის?!. არა! სხვა თავდები მომეცი! დაიფიცე ვაჟკაცის სიტყვა.

—ეფიცავ და ზედაც დავამატებ იმ ჩემ უცნაურ სიყვარულს, რომლის გამოთქმაც არ შემიძლია.

—ახლა კი მჯერა! თქვა ქალმა—წამოდგა, წამოაყენა კაციც და ხელი-ხელ ჩაკიდებული შეეიდენ უდაბურ ტყეში. შუაგულ ტყეში ერთ თითქმის მიუვალ ნაპრალში, გამოქვაბულში, ისხდენ ახალგაზდა ბიჭები ცეცხლის წინ და მწვადებს აშიშხინებდენ; იქვე გძელი სუფრა ედგათ, მაგრამ ცარიელი, ზედ არც პურები ეწყო, არც ღვინო და არც შეჭამადი. გარედან ფეხის ხმა მოისმა და შემოეიდა ქალი მოზდილი ხელ კალათით.

—ოჰ, მელანო, შენა ხარ? ჰკითხა ერთმა, რომელსაც მეთაურობა ეტყობოდა.

—მე ვარ, სანდო ეერაეინ ეიშოვნე, რომ გამომეტანებია და მეტი რაღა გზა მქონდა? მოვდიოდი მარა შიშით კი მუხლები მიკანკალებდა. მალე დამიცალეთ... მძინარი ბალღები მარტო დაეყარე შინ,—თქვა მელანომ და გადასცა ხელ-კალათი.

—ჰა, ეახშამს გავათავებთ და კიდეც გაგატანთ ეისმე სამშეიდობომდის,—უთხრა უფროსს რომ გავდა, იმანვე: მელანომ წყნარათ გადიარა და მიჯდა კუთხეში თავისთვის. ხელ-კალათიდან პურები ამოალაგეს, ხელადით ღვინო, ქოთნით შეჭამადი დაწყვეს სუფრაზე. გაუმარჯოს მეძღვნეს! დაიძახა—ერთმა იქ მყოფთაგანმა—სამაგიეროთ ჩვენც ჩვენი დღეევანდელი ნანადირეი უზიაროთო!—დათანხმდა ყველა და დიდიძალი ასო-ასოთ აქნილი შელის ხორცი ჩაუწყვეს კალათში, უცბათ ზარნაშომ დაიკიელა; წამოცვინდენ სუფრიდან, მოაელეს იარაღს ხელი და გავარდნას აპირობდენ კარში, რომ ზარნაშოს ხმა არ შეწყვეტილიყო და ნაცვლათ წრომს არ დაეწყო წიეილი. შემობრუნდენ ისევ, თქვეს: „ალბათ მეთვალყურები შეცდენ, მაგრამ რა ხუმრობაა?—ჩვენკი გული გადაგვიტრიალდა და!“.

—შემოეიდა პირი-მზისა და სიცილით თქვა:

—ეაი, თუ შეშინდით! მეთვალ-ყურე შეცდა, კარგათ ვერ გაარჩია ბნელაში, ჩემი ტყვე მტრათ მიიღო და ნიშანი მოგცათ. კიდეე კარგი რომ მალე გავაგებინე და სამშეიდობოზე გადავიდა.

ტყვე? ტყვე? ტყვეო? იკითხეს გაოცებით აქეთ-იქით.

—დიახ! მოგიყვანეთ დამორჩილებული!

იარაღიც არ ამიყრია, რომ ვაჟკაცისთვის სირცხეილი არ მეჭმია. მიიღეთ, როგორც სტუმარი! საწყენი არა ჰკადროთ რა!—ამ სიტყვაზე უცბათ გავიდა გარეთ და შემოიყვანა აბდუ-შაჰილი.

წამოცვინდენ სუყველა ზეზე და შეაჩერდენ; აბდუ-შაჰილი შემოსავალშივე შეჩერდა და გაოცებით დაიძახა: ბაში-აჩუკ!

—დიახ! აბდუ-შაჰილ, ეს ბაში-აჩუკია და მე ამისი და!.. კურთხეულ იყოს თქვენი შეყრა და ფეხ ბედნიერი აქ შემოსელა!

ჩამოვარდა სიჩუმე, ყველა გაოცებული უყურებდენ ერთმანეთს.

—აბდუ-შაჰილმა ხელები ააპყრო მაღლა და თქვა: დაილოცა, ღმერთო, შენი უცნაური განგება! ვეძებდი როგორც მტერი და შეეხვედი როგორც მოყვარე. ბაში-აჩუკმა გაიცინა და უპასუხა:

—ჩემი სათქმელიც ეგ არის!.. შენ სტუმარი და ჩვენ მასპინძელი!

მივიდა, გადახვია ხელი, წამოიყვანა და მოისვა გვერდით.

—მოულოდნელათ ღვთის მოცემულო სტუმარო, ნუ დაგვიწუნებ სუფრას! ღარიბია, მაგრამ მხიარული. უთხრა ბაჩი-აჩუკმა და შამოუსხდენ სხვებიც გარს; გაიმართა ლხინი, მაგრამ სიმღერის მაგიერათ საუბარი გააბეს დაბალის ხმით. გაგძელდა ვახშამი; ბევრი რამ ითქვა, თითქმის ყველამ გამოამჟღავნა მოკლეთ თავის თავგადასავალი და ბოლოს, ჯერი რომ მიდგა, მოჰყვა აბდუ-შაჰილიც:

—მე ერთი უთვის-ტომო კაცი ვარ, არ ვიცი ვინ ყოფილა ჩემი მამა-პაპა და საიდან მოვხვედი არდაგანში? ძლიეს მაგონდება და ოდნავ მახსოვს, რაც საბრალო დედიჩემისაგან გამიგონია!.. ოდესმე ერთ სოფელს სადღაც ლეკები დაცემიან, აუკლიათ მთელი სოფელი, ჩვენი ოჯახიც ამოუწყვეტიათ, ასე რომ მე დავრჩენილვარ ძუძუ მწოვარი და დედასთან ერთათ ტყვეთ წაუყვანიეართ; მყოლია კიდეე ერთი უმფროსი დაც, მაგრამ ის სხვა სოფელში ყოფილა გაბარებული მღვდელთან და გადარჩენილა: ამის მეტი არა ვიცი რა... მელანო სულ განაბული უგდებდა ყურს, უცბათ მიაყვირა: ექვსი თითი ხომ არა გაქვს მარცხენა ფეხზეო? და დასტური რომ მიიღო, მივარდა, გადაეხვია. დაიწყო ქვითინი: ღმერთს არ სდომებია ჩვენი ერთმანეთისთვის დაკარგვაო.

მაყურებლები გაოცებული პირჯვარს იწერდენ, ღმერთს მადლობას წირავდენ და ულოცავდენ ახალ შეყრილებს. აბდუ-შაჰილმა აღარ იცოდა რა უნდა ექნა. ჩამოვარდა სიჩუმე. პირი-მზისა მიუბრუნდა და უთხრა აბდუ-შაჰილს:

—მეც მომილოცავს!.. ახლა რახან ნამდვილი და გამოგიჩნდა, ჩვენი დაძმობილობა აღარაფერი საჭიროაო. აბდუ-შაჰილი შეკრთა და შეშინებულმა უთხრა:

—როგორ! მაშ დღეიდან ჩვენ აღარაფერი ვიქნებით ერთმანეთისათვის?

—ნაცნობები, ისე როგორც ქრისტიანი და მაჰმადიანი მიუგო ქალმა.

—არა! აქ მაჰმადიანი აღარ არის! ხომ გაიგონე, რომ ქრისტიანათ ეყოფილვარ დაბადებული და დღეს განგებამ მოინდომა, რომ გამოვბრუნებულიყავ! დღეიდან მეც თქვენი რჯულის აღმსარებელი და თაყვანის მცემელი ვარ. ბაში-აჩუკ! მიმიღეთ თქვენს გუნდში, რომ ამიერიდან მეც თქვენი ჭირი და ლხინი გავიზიაროო!..

ამ გულწრფელმა სიტყვებმა ყველა აღტაცებაში მოიყვანა და დიდი სიხარული შეექმნათ.

—აბდუ-შაჰილ! ცოტა დაფიქრების შემდეგ, უთხრა ბაში-აჩუკმა—დიდია ღმერთი და განგება მისი მიუწდომელი, შენ შეგიძლია რომ ჩვენს ქრისტიანობას დიდი სამსახური გაუწიო. მოვალეცა ყოფილხარ და ნუ აჩქარდები!.. ეს რაც მოხდა, დრომდე ყოველიფერი უნდა საიდუმლოთ დაიმარხო გულში; მიხვიდე ისევ შენ ჯარში და ისე დაიჭირო თავი, რომ ცვლილება არაფერში გეტყობოდეს. დაარწმუნე ყველა, რომ ბაში-აჩუკი მოეკალითქო! ნიშნათ წაიღე ეს ჩემი ფაფანაკი და სისხლში მოსვრილი მიართვი უფროსებს, დაგიჯერებენ და ჩვენც რომ აღარსად გამოჩნდებით, გულ-დამშვიდებული ხანი წყალობით აგავსებს. დრომდე ეს ყოველიფერი საჭიროა ჩვენი საერთო ბედნიერებისათვის. ახლა მეტს აღარას გეტყვი. დაწერილებით მაშინ გაიგებ ყოველიფერს, როცა ჩოლოყაშვილთან ერთათ მოვილაპარაკებთო! მივიდა, გადაეხვია და გადაჰკოცნა ძმურათ.

—ახლა ჩემი შვილებიც გებრალებოდეთ, მარტო დავეყარე!—თქვა მელანიამ—დროა ჩემი წასვლის, გამცილებელიც ხომ ღმერთმა მაშოვნია სხვა საჭირო აღარავინ არის, ჩემი ძმაც მიმიყვანსო!—თქვა და ჩაჰკიდა ხელი აბდუ-შაჰილს. პირი-მზისამ, თითქო შურით გააყოლა თვალი, წარბებ შეჭმუხვნით შეხედა; მელანომ შენიშნა და ცბიერის ღიმილით უთხრა:

—ღამე მშვიდობისა ჩემო რძალო! და ძილი ნებისა, რომ ტკბილი სიზმრები აგზდენოდესო!.. გავიდა სიჩქარით და თან გაიყვანა აბდუ-შაჰილიც.

—

სისხლიანი ფაფანაკი დიდხანს იყო გამოკიდებული მოედანზე, რომ ხალხს ენახა და დარწმუნებულიყო ბაში-აჩუკის სიკვდილზე. დიდი და პატარა ყველა ულოცავდა გამარჯვებას აბდუ-შაჰილს, მაგრამ მისი პასუხი კი ყოველთვის ეს იყო:

—მე რა?!. მადლიერი უნდა ვიყოთ ჩოლაყაშვილის. თუ იმას არა, მარტო მე რას გავაკეთებდი; დღეს ბაში-აჩუკიც ცოცხალი იქნებოდა და მისი გუნდიც გაუფანტავიო.

გავიდა ხანი, რამდენიმე თვემ გაიარა, დაწყნარდა ქვეყანა და გავარდნილებისა აღარა გაუგონიათ რა. დამშვიდდენ თათრები. სიფრთხილეს თავი დაანებეს. ადრინდულათვე უშიშრათ დაიწყეს ფარფაში. ამ ამბავმა ყვენის კარამდის მიაწია. დაუფასეს ჩოლოყაშვილს სამსახური და ერთგულება, მაგრამ თვითონ ის კი ლოგინათ იყო ჩავარდნილი. ახმეტიდან ცუდი ხმები მოდიოდა... ამბობდენ, რომ მისი გამობრუნება აღარ შეიძლება, დამბლას ორივე ხელ-ფეხი წაურთმევიაო. ფეიქარ-ხანი ხშირათ კითხულობდა და პატივის ცემის ნიშნათ ორჯელ-სამჯელ აბდუ-შაჰილიც გაუგზანა. ერთ საღამოს, ვიღაც შორიდან მომავალმა, შემოაჭენა ოფლათ გახეთქილი ცხენი ჩოლოყაშვილის ეზოში, გადახტა მარდათ, მიაბა სვეტზე როგორც შინაური, აიჭრა კიბეზე და შევიდა პირ-და-პირ სახლის პატრონთან. ჩოლაყაშვილი ტახტზე იყო წამოწოლილი, დაინახა თუ არა მასთან შესული, უცბათ წამოჯდა და მიაძახა:

—ოო! ბაქრაძე?!. ბაში-აჩუკმა მძიმეთ თავი დაუკრა.

—ასე მალე მოიარე? ჰკითხა ჩოლოყაშვილმა.

მოვიარე, შენიჭირიმე!—მოახსენა ბაქრაძემ და წერილები გადასცა. ჩოლაყაშვილმა გახსნა სიჩქარით და კითხვა დაიწყო, სახე უღელავდა და თან-და-თან სიამოვნება ეტყობოდა. ბაში-აჩუკი უძრავათ ადგა თავზე, რომ გაათავა კითხვა მიუბრუნდა და ჰკითხა:

—კაი სანუგეშო ამბავია!

—ღმერთმა ნუ მოგიშალოს ნუგეში, შენი ჭირიმე! მაგ ამბავს უფრო ადრეც მოვიტანდი, რომ წყალ-დიდობას არ შეეჩერებიეო.

—მალე დათანხმდენ?

—არაგვის ბატონი არა და ქსნის ერისთვები კი.

—იციან ყოველიფერი ჩვენი საიდუმლო?

—შალვას მეტს არავის გამოვეტეხიავარ:

—მაშ ზაალ როგორ დათანხმდა?

—არ დათანხმდებოდა, რომ მის კარის მღვდელს ჩვენება არ ენახა ჩემ მისვლის წინა დღეს.

—ჩვენება? გაკვრეებით შეხედა ბიძინამ.

—დიახ, შენი ჭირიმე;—მიუგო მორჩილათ და მოუყვა, რაც იცოდა გველეშაპის შესახებ, ისიც მოახსენა, რომ ერთი იმ გმირთაგანი თქვენ ბრძანებულხართო, მაგრამ სიკვდილის შესახებ კი არაფერი უთხარ. ბიძინამ სასოებით პირჯვარი გამოისახა და თქვა.

—დაილოცოს ღვთის განგება და მის სასწაული! მაშ მოგვეშველებიან??

—დღეის თუთხმეტს უეჭველათ გაჩნდებიან.

—ჯარი მეცოტაკება! ეი თუ ვერ გავსწვდეთ ამდენ თათრებს.

—რა ბძანებაა?!. თუ ღვთის ნება იქნება ათ

იმდენსაც ვეყოფით. ფშაე-ხევსურები ბახტრიონს დაეცემიან დანიშნულ დროზე, ქსნის ერისთვები მთავარი ჯარით თქვენ შამოგიერთდებიან თათრის ჯართან საომრათ და ულუხებს ჩვენც ვეყოფით.

—სულ რამდენი ხართ?

—საკუთრათ ჩვენი დასი ას-ოცი კაცია, ერთი ამდენი თეედორაძისაც იქნება.

—ისინი ხომ აქეთ-იქით არიან დაფანტული?.. ზოგი თათრის ჯარშია და ზოგი კიდეე ვინ იცის სად!..

—ისე, როგორც ჩვენი! მაგრამ იმ დროსთვის ყველა ერთათ მოვიყრით თავს.

—მაშ, კარგი, ნუღა აგვიანებ! დროა საქმეს შეუდგეთ. წადი ცოტა შეისვენე, რომ ადრიანათ ვეწიოთ საქმეს.

ბაში-აჩუკი გავიდა, დარჩა მარტო ბიძინა. ხელახლა გადაიკითხა წერილები, გაიმეორა გუნებაში რაც ბაში-აჩუკმა უთხრა სიზმრის თაობაზე, აღგა ნელა, მოიხადა ქუდი, მივიდა სახატის წინ და დაიჩოქა. დიდხანს ხელებ-აპყრობილი შეჩერებოდა უხმოთ ღვთის-მშობელს და ევედრებოდა მის ძესთან შუა მდგომლობას, რომ ქრისტიანობა გამოეხსნა ურჯულოს ხელიდან, გადაერჩინა კახეთი და მით მისი მადიდებელი მთელი საქართველო გაეძლიერებია.

მკრთალი ნათელი, სახატიდან მინაშუქი, პარპალით ეცემოდა, სასოებით აღტყინებულ მის ვაჟკაცურ სახეს და მდუღარე ცრემლები წურწკურით ჩამოდიოდენ წვერ ულვაშზე.

ᲐᲒᲐᲯᲘ.

(შემდეგი იქნება)

კრიტიკული განხილვა.

(მ. გ. ჯანაშვილი. ᲗᲝᲗᲘ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘ, თბილისი. 1896 წ. IV+183--7 გვ.)

„დღემდის საქართველოს ისტორიის ნამდვილი ისტორიკოსი არ გამოჩენილა და ჯერ არც შესაძლებელია, რომ გამოჩნდეს“.

Ბ. ᲬᲔᲠᲔᲗᲔᲚᲘ.

უმცა ჩვენი „ოქროს საუკუნის“ გამოსახატავათ, ამბობს ბ. მ. ჯანაშვილი იმ წიგნაკში, რომლის სათაური ზევით ამოვწერეთ,— ჯერ არ დაბადებულან საკუთარნი ნიბურნი, ჰიბონნი და ვებერნი, მაგრამ ყველა იმ მასალიდან, რომელიც დღეს გვაქვს, შეგვიძლიან აღვნიშნოთ მსგავსი ნასკვები ერთი მხრით თამარის ცხოვრებისა და მეორეს მხრით „ვეფხის-ტყაოსნის“ მოთხრობას შორის. საზოგადო მსგავსება ამ ორთავე მოთხრობათა (თამარის ისტორია „ქართლის ცხოვრებით“ და ნესტან-დარეჯანის ამბავი „ვეფხის-ტყაოსნისა“) ის არის, რომ ეს ქალწულნი (?!) მეტის-მეტათ ლამაზნია, ბრძენნია, მათი ცოლათ შერთვის სურვილი აღძვრია (sic!) არა ერთსა და ორს ბატონიშვილს, პირველიცა და მეორეც უარჰყოფენ უცხო გვარ ტომიდან სასიძოს მოწვევას, ორთავეს ჰსურთ შეირთონ თავისივე გვარ-ტომი და ორთავენ კიდეც: „თამარი დავით სოსლანს და ნესტან-დარეჯანი ტარიელს“ (გვ. 70). შემდეგ ავტორი დაწერილებით განმარტავს, თუ რაში მდგომარეობს ეს მსგავსება, მაგრამ სანამ ამ უკანასკნელის დაფასებას შეუდგებოდეთ, ჩვენ გვსურს ორიოდე სიტყვა წარმოვთქვათ ჩვენი წარსული ისტორიის შესწავლის შესახებ. ჩვენი წარსული ცხოვრების შესწავლა საზოგადოთ არაოდეს არ ყოფილა რიგიან გზაზე დაყენებული. მეცხრამეტე საუკუნის წინა დროებზე ჩვენ აქ არ ვლაპარაკობთ; ჩვენ გვაქვს სახეში მხოლოთ მდგომარე საუკუნე. ამ არა სასიამოვნო გარემოების მიზეზი მრავალია, როგორც ისტორიული, ისე წმინდა პოლიტიკური ხასიათისაც. ვინც კი ცოტათ თუ ბევრათ დაუკვირდება ჩვენი წარსული ისტორიის შესწავლის საქმეს, ის ადვილათ შეამჩნევს შემდეგს: ჩვენი წარსული ყოფა-ცხოვრების შესწავლას თითქმის ყოველთვინ ჰქონნია ძხოლოთ შემთსვეითი ხასიათი. მართალია, ზოგიერთნი, როგორც, მაგალ., მარი ბროსე და დ. ბაქრაძე, შესანიშნავი ენერგიით და თავ-გამოდებით შრომობდენ და იკვლევდენ ჩვენ ისტორიას, მაგრამ იმათ შემდეგ ჩვენი ისტორიის გამოკვლევის საქმე თითქო შეწყდა, ჩაჭქრა. შეიძლება, ჩვენ გვიპასუხონ, რომ ეს აზრი შემცდარიაო, რადგანაც ბროსეს და ბაქრაძეს შემდეგ ჩვენი ისტორიის შესწავლის საქმე ძლიერ წინ წავიდა, რომ იმათ შემდეგ თითქმის სულ ახალი წყაროებიც კი აღმოჩნდენ, რომლებიც აშკარათ ამტკიცებენ, რომ ბაქრაძეს და უმეტესათ ბროსეს ბევრი შემცდარი შეხედულებანი ჰქონდათო. ჩვენ ვეთანხმებით ამ აზრს, მაგრამ ამასთანავე დარწმუნებული ვართ, რომ ისტორიის შესწავლის საქმე მარტო ძველი ქრონიკების აღმოჩენაში კი არ მდგომარეობს; პირ-იქით, უპირველესი ალაგი უჭირავს ამ შემთხვევაში უკვე არსებული მასალის კრიტიკულ განხილვას, დაფასებას, და მასზე ახალი მეცნიერული შეხედულების დამყარებას. ჩვენ სრულებით არ ვამტკიცებთ, რომ ჩვენ მიერ დასახელებულ ისტორიკოსებს შეესრულებინოთ ეს დანიშნულება; ეს იმათ დროს შეუძლებელიც იყო. ჩვენ ვამბობთ მხოლოთ იმას, რომ ხსენებული პირნი ისტორიული მეცნიერებისათვის იყვენ დაბადებული, ისტორიის შესწავლა იმათ ხორცსა სისხლს შეადგენდა. და რასაკვარველია, რომ დიდი ამაგი მიუძღვით იმათ ამ მხრივ: იმათ ჩაყარეს პირველი საფუძველი ჩვენი წარსულის მეცნიერულათ გამოკვლევისა. მაგრამ აი, სწორეთ აქ დაეტყო ჩვენი წარსულის შესწავლას ის შემთხვევითი ხასიათი, რომელიც ზევით მოვიხსენიეთ; აი, სწორეთ აქ დაერწმუნდით, რომ ჩვენი ისტორიის შესწავლის საქმე დამოკიდებულია მხოლოთ კერძო პირების სურვილისაგან. ჩვენ გვწამს, რომ კერძო პირებს, რო-

—ნაცნობები, ისე როგორც ქრისტიანი და მაჰმადიანი მიუგო ქალმა.

—არა! აქ მაჰმადიანი აღარ არის! ხომ გაიგონე, რომ ქრისტიანათ ეყოფილვარ დაბადებული და დღეს განგებამ მოინდომა, რომ გამოებრუნებულიყავ! დღეიდან მეც თქვენი რჯულის აღმსარებელი და თაყვანის მცემელი ვარ. ბაში-აჩუკ! მიმიღეთ თქვენს გუნდში, რომ ამიერიდან მეც თქვენი ჭირი და ლხინი გავიზიაროო!..

ამ გულწრფელმა სიტყვებმა ყველა აღტაცებაში მოიყვანა და დიდი სიხარული შეექნათ.

—აბდუ-შაჰილ! ცოტა დაფიქრების შემდეგ, უთხრა ბაში-აჩუკმა—დიდია ღმერთი და განგება მისი მიუწდომელი, შენ შეგიძლია რომ ჩვენს ქრისტიანობას დიდი სამსახური გაუწიო. მოვალეცა ყოფილხარ და ნუ აჩქარდები!.. ეს რაც მოხდა, დრომდე ყოველიფერი უნდა საიდუმლოთ დაიმარხო გულში; მიხვიდე ისევ შენ ჯარში და ისე დაიჭირო თავი, რომ ცვლილება არაფერში გეტყობოდეს. დაარწმუნე ყველა, რომ ბაში-აჩუკი მოეკალითქო! ნიშნათ წაიღე ეს ჩემი ფაფანაკი და სისხლში მოსერილი მიართვი უფროსებს, დაგიჯერებენ და ჩვენც რომ აღარსად გამოვჩნდებით, გულ-დამშვიდებული ხანი წყალობით აგავსებს. დრომდე ეს ყოველიფერი საჭიროა ჩვენი საერთო ბედნიერებისათვის. ახლა მეტს აღარას გეტყვი. დაწერილებით მაშინ გაიგებ ყოველიფერს, როცა ჩოლოყაშვილთან ერთათ მოვილაპარაკებთო! მივიდა, გადაეხვია და გადაჰკოცნა ძმურათ.

—ახლა ჩემი შვილებიც გებრალებოდეთ, მარტო დაეყარე!—თქვა მელანიამ—დროა ჩემი წასვლის, გამცილებელიც ხომ ღმერთმა მაშოენია სხვა საჭირო აღარავინ არის, ჩემი ძმაც მიმიყვანსო!—თქვა და ჩაჰკიდა ხელი აბდუ-შაჰილს. პირი-მზისამ, თითქო შურით გააყოლა თვალი, წარბებ შეჭმუხვნით შეხედა; მელანომ შენიშნა და ცბიერის ღიმილით უთხრა:

—ღამე მშვიდობისა ჩემო რძალო! და ძილი ნებისა, რომ ტკბილი სიზმრები აგხდენოდესო!.. გავიდა სიჩქარით და თან გაიყვანა აბდუ-შაჰილიც.

—

სისხლიანი ფაფანაკი დიდხანს იყო გამოკიდებული მოედანზე, რომ ხალხს ენახა და დარწმუნებულიყო ბაში-აჩუკის სიკვდილზე. დიდი და პატარა ყველა ულოცავდა გამარჯვებას აბდუ-შაჰილს, მაგრამ მისი პასუხი კი ყოველთვის ეს იყო:

—მე რა?!. მადლიერი უნდა ვიყოთ ჩოლაყაშვილის. თუ იმას არა, მარტო მე რას გავაკეთებდი; დღეს ბაში-აჩუკიც ცოცხალი იქნებოდა და მისი გუნდიც გაუფანტავიო.

გავიდა ხანი, რამდენიმე თვემ გაიარა, დაწყნარდა ქვეყანა და გავარდნილებისა აღარა გაუგონიათ რა. დამშვიდდენ თათრები. სიფრთხილეს თავი დაანებეს. ადრინდულათვე უშიშრათ დაიწყეს ფარფაში. ამ ამბავმა ყვენის კარამდის მიაწია. დაუფასეს ჩოლოყაშვილს სამსახური და ერთგულება, მაგრამ თვითონ ის კი ლოგინათ იყო ჩავარდნილი. ახმეტიდან ცუდი ხმები მოდიოდა... ამბობდენ, რომ მისი გამობრუნება აღარ შეიძლება, დამბლას ორიეე ხელ-ფეხი წაურთმევიაო. ფეიქარ-ხანი ხშირათ კითხულობდა და პატივის ცემის ნიშნათ ორჯელ-სამჯელ აბდუ-შაჰილიც გაუგზანა. ერთ საღამოს, ვიღაც შორიდან მომავალმა, შემოაჭენა ოფლათ გახეთქილი ცხენი ჩოლოყაშვილის ეზოში, გადახტა მარდათ, მიაბა სვეტზე როგორც შინაური, აიჭრა კიბეზე და შეეიდა პირ-და-პირ სახლის პატრონთან. ჩოლაყაშვილი ტახტზე იყო წამოწოლილი, დაინახა თუ არა მასთან შესული, უცბათ წამოჯდა და მიაძახა:

—ოო! ბაქრაძე?!. ბაში-აჩუკმა მძიმეთ თავი დაუკრა.

—ასე მალე მოიარე? ჰკითხა ჩოლოყაშვილმა.

მოვიარე, შენიჭირიმე!—მოახსენა ბაქრაძემ და წერილები გადასცა. ჩოლაყაშვილმა გახსნა სიჩქარით და კითხვა დაიწყო, სახე უღელავდა და თან-და-თან სიამოვნება ეტყობოდა. ბაში-აჩუკი უძრავათ ადგა თავზე, რომ გაათავა კითხვა მიუბრუნდა და ჰკითხა:

—კაი სანუგეშო ამბავია!

—ღმერთმა ნუ მოგიშალოს ნუგეში, შენი ჭირიმე! მაგ ამბავს უფრო ადრეც მოვიტანდი, რომ წყალ-დიდობას არ შეეჩერებიეო.

—მალე დათანხმდენ?

—არაგვის ბატონი არა და ქსნის ერისთვები კი.

—იციან ყოველიფერი ჩვენი საიდუმლო?

—შალვას მეტს არავის გამოვტეხივარ:

—მაშ ზაალ როგორ დათანხმდა?

—არ დათანხმდებოდა, რომ მის კარის მღვდელს ჩვენება არ ენახა ჩემ მისვლის წინა დღეს.

—ჩვენება? გაკვირვებით შეხედა ბიძინამ.

—დიახ, შენი ჭირიმე;—მიუგო მორჩილათ და მოუყვა, რაც იცოდა გველეშაპის შესახებ, ისიც მოახსენა, რომ ერთი იმ გმირთაგანი თქვენ ბრძანებულხართო, მაგრამ სიკვდილის შესახებ კი არაფერი უთხარ. ბიძინამ სასოებით პირჯვარი გამოისახა და თქვა.

—დაილოცოს ღვთის განგება და მის სასწაული! მაშ მოგვეშველებიან??

—დღეის თუთხმეტს უეჭველათ გაჩნდებიან.

—ჯარი მეცოტაკება! ეი თუ ვერ გავსწვდეთ ამდენ თათრებს.

—რა ბძანებაა?!. თუ ღვთის ნება იქნება ათ

იმდენსაც ვეყოფით. ფშაე-ხევსურები ბახტრიონს დაეცემიან დანიშნულ დროზე, ქსნის ერისთვები მთავარი ჯარით თქვენ შამოგიერთდებიან თათრის ჯართან საომრათ და ულუხებს ჩვენც ვეყოფით.

—სულ რამდენი ხართ?

—საკუთრათ ჩვენი დასი ას-ოცი კაცია, ერთი ამდენი თეედორაძისაც იქნება.

—ისინი ხომ აქეთ-იქით არიან დაფანტული?.. ზოგი თათრის ჯარშია და ზოგი კიდეე ვინ იცის სად!..

—ისე, როგორც ჩვენი! მაგრამ იმ დროსთვის ყველა ერთათ მოვიყრით თავს.

—მაშ, კარგი, ნუღა აგვიანებ! დროა საქმეს შეუდგეთ. წადი ცოტა შეისვენე, რომ ადრიანათ ვეწიოთ საქმეს.

ბაში-აჩუკი გავიდა, დარჩა მარტო ბიძინა. ხელახლა გადაიკითხა წერილები, გაიმეორა გუნებაში რაც ბაში-აჩუკმა უთხრა სიზმრის თაობაზე, ადგა ნელა, მოიხადა ქუდი, მიეიდა სახატის წინ და დაიჩოქა. დიდხანს ხელებ-აპყრობილი შეჩერებოდა უხმოთ ღვთის-მშობელს და ევედრებოდა მის ძესთან შუა მდგომლობას, რომ ქრისტიანობა გამოეხსნა ურჯულოს ხელიდან, გადაერჩინა კახეთი და მით მისი მადიდებელი მთელი საქართველო გაეძლიერებია.

მკრთალი ნათელი, სახატიდან მინაშუქი, პარპალით ეცემოდა, სასოებით აღტყინებულ მის ვაჟკაცურ სახეს და მდუღარე ცრემლები წურწკურით ჩამოდიოდენ წვერ ულვაშზე.

ᲙᲐᲯᲘ.

(შემდეგი იქნება)

კრიტიკული განხილვა.

(მ. გ. ჯანაშვილი. შოთა რუსთაველი, თბილისი. 1896 წ. IV+183--7 გვ.)

„დღემდის საქართველოს ისტორიის ნამდვილი ისტორიკოსი არ გამოჩენია და ჯერ არც შესაძლებელია, რომ გამოჩნდეს“.

გ. წერეთელი.

ᲒᲣᲛᲪᲐ ჩვენი „ოქროს საუკუნის“ გამოსახატავათ, ამბობს ბ. მ. ჯანაშვილი იმ წიგნაკში, რომლის სათაური ზეითა ამოწერეთ,— ჯერ არ დაბადებულან საკუთარნი ნიბურნი, ჰიბონნი და ევბერნი, მაგრამ ყველა იმ მასალიდან, რომელიც დღეს გვაქვს, შეგვიძლიან აღენიშნოთ მსგავსი ნასკვები ერთი მხრით თამარის ცხოვრებისა და მეორეს მხრით „ვეფხის-ტყაოსნის“ მოთხრობას შორის. საზოგადო მსგავსება ამ ორთაევე მოთხრობათა (თამარის ისტორია „ქართლის ცხოვრებით“ და ნესტან-დარეჯანის ამბავი „ვეფხის-ტყაოსნისა“) ის არის, რომ ეს ქალწულნი (?!) მეტის-მეტათ ლამაზნია, ბრძენნია, მათი ცოლათ შერთვის სურვილი აღძვრია (sic!) არა ერთსა და ორს ბატონიშვილს, პირველიცა და მეორეც უარჰყოფენ უცხო გვარ ტომიდან სასიძოს მოწვევას, ორთაევე ჰსურთ შეირთონ თავისივე გვარ-ტომი და ორთავენ კიდეც: „თამარი დავით სოსლანს და ნესტან-დარეჯანი ტარიელს“ (გვ. 70). შემდეგ ავტორი დაწერილებით განმარტავს, თუ რაში მდგომარეობს ეს მსგავსება, მაგრამ სანამ ამ უკანასკნელის დაფასებას შევუდგებოდეთ, ჩვენ გვსურს ორიოდე სიტყვა წარმოვთქვათ ჩვენი წარსული ისტორიის შესწავლის შესახებ. ჩვენი წარსული ცხოვრების შესწავლა საზოგადოთ არაოდეს არ ყოფილა რიგიან გზაზე დაყენებული. მეცხრამეტე საუკუნის წინა დროებზე ჩვენ აქ არ ვლაპარაკობთ; ჩვენ გვაქვს სახეში მხოლოთ მდგომარე საუკუნე. ამ არა სასიამოვნო გარემოების მიზეზი მრავალია, როგორც ისტორიული, ისე წმინდა პოლიტიკური ხასიათისაც. ვინც კი ცოტათ თუ ბევრათ დაუკვირდება ჩვენი წარსული ისტორიის შესწავლის საქმეს, ის ადვილათ შეამჩნევს შემდეგს: ჩვენი წარსული ყოფა-ცხოვრების შესწავლას თითქმის ყოველთვინ ჰქონნია ძხოლოთ შემთხვევითი ხასიათი. მართალია, ზოგიერთნი, როგორც, მაგალ., მარი ბროსე და დ. ბაქრაძე, შესანიშნავი ენერგიით და თავ-გამოდებით შრომობდენ და იკვლევდენ ჩვენ ისტორიას, მაგრამ იმათ შემდეგ ჩვენი ისტორიის გამოკვლევის საქმე თითქო შეწყდა, ჩაჭრა. შეიძლება, ჩვენ გვიპასუხონ, რომ ეს აზრი შემცდარიაო, რადგანაც ბროსეს და ბაქრაძეს შემდეგ ჩვენი ისტორიის შესწავლის საქმე ძლიერ წინ წავიდა, რომ იმათ შემდეგ თითქმის სულ ახალი წყაროებიც კი აღმოჩნდენ, რომლებიც აშკარათ ამტკიცებენ, რომ ბაქრაძეს და უმეტესათ ბროსეს ბევრი შემცდარი შეხედულებანი ჰქონდათო. ჩვენ ვეთანხმებით ამ აზრს, მაგრამ ამასთანავე დარწმუნებული ვართ, რომ ისტორიის შესწავლის საქმე მარტო ძველი ქრონიკების აღმოჩენაში კი არ მდგომარეობს; პირ-იქით, უპირველესი ალაგი უჭირავს ამ შემთხვევაში უკვე არსებული მასალის კრიტიკულ განხილვას, დაფასებას, და მასზე ახალი მეცნიერული შეხედულების დამყარებას. ჩვენ სრულებით არ ვამტკიცებთ, რომ ჩვენ მიერ დასახელებულ ისტორიკოსებს შეესრულებინოთ ეს დანიშნულება; ეს იმათ დროს შეუძლებელიც იყო. ჩვენ ვამბობთ მხოლოთ იმას, რომ ხსენებული პირნი ისტორიული მეცნიერებისათვის იყვენ დაბადებული, ისტორიის შესწავლა იმათ ხორც და სისხლს შეადგენდა. და რასაკვარველია, რომ დიდი ამაგი მიუძღვით იმათ ამ მხრივ: იმათ ჩაყარეს პირველი საფუძველი ჩვენი წარსულის მეცნიერულათ გამოკვლევისა. მაგრამ აი, სწორეთ აქ დაეტყო ჩვენი წარსულის შესწავლას ის შემთხვევითი ხასიათი, რომელიც ზეითა მოვიხსენიეთ; აი, სწორეთ აქ დაერწმუნდით, რომ ჩვენი ისტორიის შესწავლის საქმე დამოკიდებულია მხოლოთ კერძო პირების სურვილისაგან. ჩვენ გვწამს, რომ კერძო პირებს, რო-

ცა იგინი აღჭურვილი არიან მაღალი უანგარო სიყვარულით ᲕᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲔᲑᲘᲡᲐᲓᲛᲘ, შეუძლიათ თვალ-საჩინო კვალი დასტოვონ შთამამავლობისათვის. მაგრამ, როცა იმათ ამოქმედებს მხოლოთ პიროვნული ინტერესების ქაოილი, პიროვნული შურის ძიება და მტრობა, მაშინ იმათმა შრომამ, რაც უნდა დიდი ღირსების იყოს, ადვილათ შესაძლებელია, რომ უნაყოფოთ ჩაიაროს.

ᲩᲕᲔᲜ ᲓᲠᲝᲨᲘ თითქმის ყოველგან, სადაც კი ცოტათ თუ ბევრათ ყოფილა და არის დღესაც კულტურული ცხოვრება, არსებობენ სხვა-და-სხვა მუდმივი ისტორიული საზოგადოებანი, რომლებიც შეერთებული ძალით იკვლევენ წარსულ ყოფა-ცხოვრებას; აქვთ თავისი საკუთარი დრო-გამოშვებითი გამოცემანი, კრებები და სხვ. ამიტომ აქ ისტორიის შესწავლა მკვიდრ ნიადაგზეა დამყარებული და ის მუდამ წინ მიდის, მეტი თუ ნაკლები სისწრაფით. სულ სხვა სურათს წარმოადგენს ამ მხრივ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ. ᲩᲕᲔᲜᲘ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲔᲯᲕᲔᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲐ; მაგრამ, საუბედუროთ, მის გამოკვლევამ ვერ წადგა წინ შესამჩნევი ნაბიჯი. მაგალითათ, ᲩᲕᲔᲜᲨᲘ ᲐᲠᲐᲝᲓᲔᲡ ᲐᲠ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲐ ᲘᲛᲜᲐᲘᲠᲘ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ, რომლის პირდაპირი დანიშნულება ყოფილიყოს ᲩᲕᲔᲜᲘ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲙᲕᲚᲔᲕᲐ. მართალია, ᲩᲕᲔᲜᲗᲘᲡ ᲨᲔᲣᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲘᲧᲝ და არის დღესაც იმ გვარ ისტორიულ საზოგადოებათა ხელმძღვანელობა, რომლებიც არსებობენ სხვა ქვეყნებში, როგორც მატერიალური, ისე სხვა მხრითაც, მაგრამ ის კი იყო შესაძლებელი, რომ ᲩᲕᲔᲜ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲙᲝᲡᲔᲑᲡ და ᲐᲠᲥᲔᲝᲚᲝᲒᲔᲑᲡ (ᲐᲛᲐᲗᲘ ᲠᲘᲪᲮᲕᲘ ᲐᲠᲐ ᲛᲪᲘᲠᲔᲓᲘᲐ) ᲔᲛᲣᲨᲐᲝᲜᲐᲗ ᲗᲐᲜᲮᲛᲝᲑᲘᲗ, ᲡᲝᲚᲘᲓᲐᲠᲘᲣᲚᲐᲗ; მოკლეთ რომ ეთქვათ, ᲩᲕᲔᲜ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲙᲝᲡᲔᲑᲡ კი შეეძლოთ, რომ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲤᲔᲠᲘ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ დაეარსებიათ, მით უფრო, რომ ზოგიერთი გარემოება მათ ხელს უწყობდა ამ შემთხვევაში, მაგალ. წერა-კითხვის საზოგადოების მუზეუმი და სხვ. მაგრამ ამის მაგივრათ რას ვხედავთ ᲩᲕᲔᲜ? განცალკევებით მოქმედება, ᲩᲮᲠᲔᲙᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲗᲘᲡ ᲙᲐᲠ-ᲩᲐᲙᲔᲢᲘᲚᲨᲘ, შური, მტრობა, უსაზღვრო ერთმანეთის მხილება და მრავალი სხვა სამარცხვინო თვისებანი შეადგენენ თითქმის ყველა ᲩᲕᲔᲜᲘ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲙᲝᲡᲔᲑᲘᲡ ᲙᲣᲗᲕᲜᲘᲚᲔᲑᲐᲡ. იმათ ერთი-ერთმანეთის არა წამთ-რა. თითოეული მათგანი მხოლოთ თავის თავზე გაიძახის, სხვისი მას არა მოწონს რა. რასაკვირველია, ამ საურთიერთო მტრობაში და ᲥᲘᲨᲞᲝᲑᲐᲨᲘ, თავი-და-თავი საგანი: ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲐ, ᲐᲮᲐᲚᲘ ᲨᲔᲮᲔᲓᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲠᲢᲔᲑᲐ და სხვ.,— უკან რჩება და იჩაგრება.

ᲐᲨᲙᲐᲠᲐᲐ, რომ ამნაირი საქციელით ვერაფერ სამსახურს ვუწევთ ᲩᲕᲔᲜ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ. ამით ᲩᲕᲔᲜ ᲛᲮᲝᲚᲝᲗ ᲡᲐᲡᲢᲘᲙ ᲘᲐᲠᲐᲦᲡ ᲕᲐᲫᲚᲔᲕᲗ ᲡᲮᲕᲔᲑᲡ ᲩᲕᲔᲜ-ᲓᲐ-ᲓᲐᲡᲐᲛᲐᲠᲪᲮᲕᲔᲑᲚᲐᲗ. რაშიაც ᲩᲕᲔᲜᲘ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲙᲝᲡᲔᲑᲘ ვერ გვაკმაყოფილებენ, იმას უცხოელები გვაწვდიან: ᲩᲕᲔᲜ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲡ, ᲬᲜᲔᲡ, ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲐᲡ, ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲡ, ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐᲡ თითქმის მარტო იგინი იკვლევენ და სწავლობენ. ᲩᲕᲔᲜ, რასაკვირველია, ამის საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს სათქმელი, იმ შემთხვევაშიაც, როცა ამნაირ შესწავლას მარტო ᲩᲕᲔᲜᲘ დაცინვა აქვს სახეში და მეტი არაფერი. დეე, ყველამ იშრომოს, შინაურმაც და გარეულმაც, მაგრამ ᲩᲕᲔᲜᲘ საკვალოო ის არის, რომ ᲩᲕᲔᲜ ერთობ ნამეტანი დავეჩვიეთ სხვების ზრუნვას ᲩᲕᲔᲜᲘ საქმეების შესახებ. მოსალოდნელია ახლა ის გარემოებაც, რომ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲪ ამ საუკუნეში ვინმე შემთხვევით გამლელ უცხოელმა შეადგინოს და გამოაქვეყნოს, და შემდეგ ᲩᲕᲔᲜ კი დავიწყებთ წუწუნს, ეს რა ᲩᲐᲣᲓᲔᲜᲘᲐ ამ უცხოელსა, ეს რა ტყუილებით და შეცდომებით გაუმსია თავის წიგნიო და სხვ. მაგრამ მაშინ გვიანღა იქნება. დამნაშავენი ამ შემთხვევაში ᲕᲘᲥᲜᲔᲑᲘᲗ ᲛᲮᲝᲚᲝᲗ ᲩᲕᲔᲜ, ᲩᲕᲔᲜ, რომლებიც სრულებით არ ᲕᲖᲠᲣᲜᲐᲕᲗ არც ᲩᲕᲔᲜᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ და ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲙᲕᲚᲔᲕᲐᲖᲔ და არც ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲔᲗᲜᲝᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚ და ᲒᲔᲝᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚ ᲨᲔᲡ�წᲐᲕᲚᲐᲖᲔ. ᲩᲕᲔᲜ თუ გავახელთ თვალს, ეს მხოლოთ მაშინ, როცა ᲩᲕᲔᲜᲖᲔ დაიწყებენ საუბარს სხვები და ისიც, რასაკვირველია, დროებით; შემდეგ კი ისევ დავიწყებას ვეძლევით.

ᲐᲛᲜᲐᲘᲠ ᲒᲐᲛᲝᲣᲠᲙᲕᲔᲕᲔᲚ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐᲨᲘᲐ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲝ, ᲓᲦᲔᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ; მაგრამ, რადგანაც წარსული შეადგენს იმ ნიადაგს, რომელზედაც აღმოცენდა და განვითარდა ᲩᲕᲔᲜᲘ აწინდელი ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ; რადგანაც მეორე მხრით, ეს უკანასკნელი, მისდა თავათ, ავითარებს თავისივე გულში იმ პირობებს, რომლებმაც უნდა ძირიანათ შეცვალონ ᲩᲕᲔᲜᲘ აწინდელი სოციალური მდგომარეობა; ამიტომ, ერთი მხრით, ᲩᲕᲔᲜ ᲔᲠᲬᲛᲣᲜᲓᲔᲑᲘᲗ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ᲩᲕᲔᲜᲘ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ და სოციალური თვით-ცნობიერობის განვითარებისათვის ᲩᲕᲔᲜᲘ ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ საფუძლიანათ გამოკვლევას; მეორე მხრით, იძულებული ვართ აღვიაროთ ამნაირი გამოკვლევის სრული უქონლობა. მართალია, ნ. ᲥᲝᲠᲓᲐᲜᲘᲐᲛ მრავალ თავის წერილებში წარმოგვიდგინა ᲩᲕᲔᲜ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲔᲠᲘᲡ ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲘ და აწმყო მდგომარეობა; მაგრამ ის შეეხო ამ საგანს მხოლოთ სქემატიურათ, განზოგადებით (სხვა ნაირათ მისთვის შეუძლებელიც იყო). ნ. ᲥᲝᲠᲓᲐᲜᲘᲐᲡ შეხედულებას ᲩᲕᲔᲜ ᲬᲐᲠᲡᲣᲚ და ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲖᲔ მხოლოთ მაშინ მიეცემა საფუძველი, როცა საკმარისათ გამოირკვევა ეს უკა-

ნასკნელი. ამისათვის კი აუცილებელ საჭიროებას შეადგენს აუარებელი შრომა, შრომა ხანგრძლივი და შეერთებული ძალით, და არა ისე, როგორც დღემდის იყო და არის კიდევაც [1]).

შეიძლება, ეს შესავალი მკითხველს ამ წერილის უმთავრესი საგნიდან გადახვევათ მოეჩვენოს, მაგრამ ჩვენი ფიქრით ამ საგანთან აქვს ამას მჭიდრო კავშირი და აი რათა: ჩვენ ზემოთ დავადგინეთ ის ფაქტი, რომ საზოგადოთ ჩვენი ცხოვრება არ არის საფუძვლიანათ შესწავლილი. თუ ეს ასე ითქმის მთელი ჩვენი ისტორიული ცხოვრების შესახებ, იგივე უნდა ვთქვათ, როცა შედარებით უფრო კერძო ფაქტზე ანუ მოვლენაზე ელაპარაკობთ. ეს ასეც უნდა იყოს: თითქმის ყოველივე კერძო ისტორიული ფაქტის ცოდნა შეკავშირებულია მთელ ისტორიის ცოდნასთან, რადგანაც განცალკევებით, დახშულათ, ის არ არსებობს. ავიღოთ, მაგალ. თვით „ვეფხის-ტყაოსანი". უმეტესობას ეს ლიტერატურული განძი იმნაირ საუცხოო ხეთ მიაჩნდათ, და კიდევაც მიაჩნიათ დღეს, რომელსაც არც ძირი გაუკეთებია და არც ტოტები, ისე განმარტოებული დგას ჰაერში. დღეს ამნაირ შეხედულებას „ვეფხის-ტყაოსანზე" ბ. მ. ჯანაშვილიც კი უარჰყოფს შემდეგ სიტყვებით: „ჩვენ გონების განვითარების ისტორიაში შოთა რუსთაველი ციდან მოწყვეტილი ცის-ნატეხი არ არისო" (გვ. 7). როგორ უსაფუძვლოთ ამტკიცებს ავტორი ამ შეხედულებას, ამას ჩვენ ცოტა ქვემოთ დავინახავთ; აქ შევნიშნავთ მხოლოთ, რომ თუმცა-ღა, ერთი მხრით ღირს შესანიშნავია ამნაირი შეხედულების არსებობა, მაგრამ, მეორე მხრით, სამწუხაროთ, იმის დასამტკიცებლათ თითქმის ჯერ სულ არაფერი არ გაკეთებულა. ამისათვის აუცილებლათ საჭირო იყო ჩვენი წარსული ცხოვრების ეკონომიური ორგანიზაციის ღრმა შესწავლა და არა მარტო ჩვენი ქვეყნის ცხოვრებისა, არამედ იმ ქვეყნებისაც, რომლებიც ასე თუ ისე დაკავშირებული იყვენ ამ უკანასკნელთან. მხოლოთ ამნაირ შესწავლას შეეძლო გაეთვალისწინებია და აეხსნა ჩვენთვის იურიდიული, პოლიტიკური და გონებრივი მხარე ჩვენი ხალხისა. მხოლოთ ამნაირი შესწავლა დაგვიმტკიცებდა ჩვენ, რომ „ვეფხის-ტყაოსანი" მინერვა არ არის, რომელიც იუპიტერის თავიდან გამოვიდა დასრულებული. დღეს კი ამნაირი გამოკვლევის უქონლობის გამო, ჩვენ იძულებული ვართ, რომ ბ. მ. ჯანაშვილის წინააღმდეგ, „ვეფხის-ტყაოსანი" „ციდან მოწყვეტილ ცის-ნატეხათ" მივიჩნიოთ. რას იზამ, როცა თვით ბ. ჯანაშვილის წიგნი „შოთა რუსთაველი" ყველაზე უფრო აშკარათ ასაბუთებს ამ შემდგომ შესედულებას.

შესანიშნავია ის გარემოება, რომ ვისაც აქამდის უწერია ან რაიმე მსჯელობა ჰქონებია „ვეფხის-ტყაოსანზე", თითქმის ყველას მხოლოთ ამ უკანასკნელის შინაგან ღირსებათა დაფასებაზე უფარჯიშია თავისი ტვინი და გონება, მარტო მისი ხელოვნური და მხატვრობითი სიდიადე გაუხდია თავის მსჯელობის საგნათ. რადგანაც, ერთი მხრით, „ვეფხის-ტყაოსნის" მკვლევარნი გატაცებული არიან მხოლოთ მისი შინაგანი ხელოვნური სიდიადით, და მეორე მხრით, რადგანაც იგინი სრულებით არ ღებულობენ სახეში იმ პირობებს [1]), რომლებმაც წარმოშობეს უკვდავი პოემა, ამიტომ ეს მკვლევარნი ძალა-უნებურათ უნდა მისულიყვენ შემდეგ ორ დასკვნამდის: 1) „ვეფხის-ტყაოსანი" ყოველ მხრივ წარმოადგენს სისრულეს, სადამდისაც არ მიუხწევია არც ერთ მსოფლიო მწერალს, ის ყოველ ნაკლულევანებას მოკლებულია, მასში შეკრებილია მხოლოთ სამისღემჩიო ჰეშმარიტებანი, და 2) რადგანაც ჩვენ არ ვიცით, ვერ აგვიხსნია ამ პოემის შექმნის პირობები, ამიტომ ის უნდა ჩაითვალოს საკვირველებათ, მერვე სასწაულმოქმედებათ. უმეტესობა დღეს ჩვენში ამნაირი შეხედულების არის „ვეფხის-ტყაოსანზე"; მას ვერ წარმოუღგენია, რომ „ვეფხის-ტყაოსანში", რაიმე ნაკლულევანება იმყოფებოდეს; ვერ წარმოუდგენია, რომ, რაც უნდა იყოს, ეს პოემა შექმნილია განსაზღვრული ისტორიულ დროს, როდესაც მეფობდენ განსაზღვრული საზოგადოებრივი ურთი-ერთობანი, რომლებიც დროთა განმავლობაში სრულიათ შეიცვალენ; მეორე მხრით ყოველთა შეუძლებელია, რომ რაიმე ნაირ ლიტერატურულ ნაწარმოებს, რაც უნდა იგი უმაღლესი გენიოსური ქმნილება იყოს, თავის დროის ბეჭედი არ ესვას, თავისებური

---

[1]) ზემო ნათქვამი დარჩება უმართლოთ, თუ ჩვენ აქ არ მოვისსენეთ მთელი რიგი ისტორიული წერილებისა, რომლებიც იბეჭდებოდენ გასული წლების „კვალში" და რომელთა ავტორი, გ. წერეთელი, ასე ასსიათებდა თავის წერილების საზოგადო მიმართულებას: „ჩვენ ვიკისრეთ ჩვენი ქართული ძატიანეს დაწერილებით შესწავლით გამოვარკვიოთ ერთი საზოგადო ისტორიული სინტეზი (საზოგადო განხილვის აზრი) და ამის მიხედვით დავაფასოთ თითოეული ხანა ჩვენი ისტორიისა და მასში მომქმედი პირების ღვაწლი იმდენადენათ, რამდენათაც იგი ეფნება დაფუძნებული ასსნილსა და გამოტანილ ისტორიულ ფაქტებზე". (იხ. „კვალი", 1894 წ. № 9, სტ: „მეფე არჩილი".) ამნაირათ ავტორმა წარმოგვიდგინა ჩვენი ისტორიიდან მრავალი ეპოქების დასურათება, რამდენათ ეს შესაძლებელი იყო მოკლე წერილებში. ამ სტატიებში უფრო შესანიშნავი არიან დასასრულებულ „მეფე არჩილის" გარდა: „მეფე გიორგი ლაშა" („კვალი" 1893 წ., № 9), „მეფე ერეკლე II" (იმავე წლის „კვალი" №№: 29 და 30), „ისტორიულ-ფილოლოგიური გამოკვლევა" (იმავე წლის „კვალი" №№: 38, 39 და 40), „როგორ აშენდა გელათი?" („კვალი" 1894 წ., №№: 12 და 13) და მრავალი სხვებიც.

[1]) ის მეთოდი, რომელიც ბერეულთ ბ. ჩუბინაშვილმა დასახა და რომელიც შემდეგ ბ. მ. ჯანაშვილს გაეტარებინა თავის „შოთა რუსთაველში", ე. ი. „ვეფხის-ტყაოსნის" მიმსგავსება „ქართველის ცხოვრებასთან", უფრო დაგინვა იმ მეთოდისა, რომელიც ჩვენ გვაქვს სასურველი და რომელიც, თუ არ ვცდებით, ბერეულთ გ. წერეთელმა განმარტა მოკლეთ 1870 წ. „დროებითის" წინა-სიტყვაობაში, მაგრამ ამაზე შემდეგ.

ფერი არ ედვას. ამის უარყოფა ნიშნავს იმას, რომ არავითარი ნიადაგი არ არის საჭირო რომლისამე იდეის დაბადების და განვითარებისათვის. რამდენათაც შემცდარია ამნაირი აზრი, იმდენათაც შემცდარი არიან იგინი, ვინც „ეფეხის-ტყაოსანში“ არავითარ ნაკლულევანებას არ ხედავენ.

უ'ეირო იარაღს ანუ მეთოდს ხმარობენ აგრეთვე ის თითო-ოროლა მკვლევარნიც, რომლებთაც სურდათ დაემცირებინათ, როგორც შოთა რუსთველის მნიშვნელობა ჩვენი ლიტერატურისათვის, ისე თვით „ეფეხის-ტყაოსნისა“ მით, რომ იმათი აზრით ეს უკანასკნელი პირდაპირი, სიტყვა – სიტყვით ნათარგმნია სპარსულიდან. ამნაირი მეთოდის ხმარებაც შემცდარი გამოდგა, თუ სულ ყალბი არა. საქმე ის არის, რომ აქ თვით კითხვაა უადგილოთ დაყენებული. ორიგინალური ნაწარმოებია „ეფეხის-ტყაოსანი“ ქართულ ენაზე, თუ ნათარგმნი? სანამ ამ კითხვას გადაწყვეტდეთ, ჩვენი აზრით, საჭირო იყო თვით ხსენებული ნაწარმოების მნიშვნელობის განმარტება ქართული მწერლობისათვის თავისი ღირსებით და ნაკლულევანებით. ეს გამოიწვევდა იმის გამოკვლევას, თუ როგორ წარმოდგა „ეფეხის-ტყაოსანი“, სად, რომელ მწერლობაში უნდა ვეძიოთ მისი განვითარების სათაური, რა გვარი საზოგადოებრივი ურთიერთობათა ნაყოფია ის და სხვ. იმ პირებმა კი, რომლებიც ჩვენ ახლა სახეში გვყავს, ყოველივე ეს მხედველობიდან გაუშვეს, და მხოლოთ უნაყოფო შრომას—„ეფეხის-ტყაოსნის“ ორიგინალობის გამოძიებას მიეცენ, და მით დაივიწყეს, რომ რაც უნდა იყოს „ეფეხის-ტყაოსანი“, ე. ი. ნათარგმნია ის, თუ თვით რუსთაველისვე შექმნილი, ყოველ შემთხვევაში ის დაუშრეტელი წყაროა ჩვენი პოეზიისა. მკითხველმა უნდა იცოდეს, რომ ჩვენ აქ ვერ შეუდგებით „ეფეხის-ტყაოსნის“ შესწავლას იმ მეთოდით, რომელიც ჩვენ რამდენიმეთ ზემოთ დავსახეთ და რომელიც მდგომარეობს შემდეგში: დაწერილებით და ღრმათ შესწავლა ნიეთიერი ორგანიზაციისა ჩვენი ქვეყნის მე-XII-ტე საუკუნის გასვლამდის, რასაც უნდა მოყვეს თავის თავათ მაშინდელი ჩვენი პოლიტიკური და იურიდიული წეს-წყობილების შესწავლა აღმოსავლეთის ქვეყნებთან დაკავშირებით. ამნაირი გამოკვლევის პროგრამმა აღნუსხა სამოცდა ათ წლებში გ. წერეთელმა; მაგრამ ეს უკანასკნელი მაშინ ამ საგანს მხოლოთ გაკვრით ეხებოდა და მას უმეტესათ გონებრივი მხარე ჰქონდა სახეში და არა მატერიალური. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ თუ ჩვენ მიერ ნაჩვენები მეთოდით შეეისწავლით „ეფეხის-ტყაოსანს“, ჩვენ დავინახავთ შემდეგს: „ეფეხის-ტყაოსანი“, როგორც ლიტერატურული ნაწარმოები, არის შექმნილი, ერთი მხრით, აღმოსავლეთის ქვეყნების საზოგადოებრივი ურთი-ერთობათა ზე-გავლენის ქვეშ, და მეორე მხრით, იგივე აღმოსავლეთის პოეზი'ს დიადი და მომხიბლავი ძალით. ამასთანავე შესაძლებელია მივიღოთ, რომ შოთა რუსთაველი არის ნამდვილი ავტორი ამ პოემისა, რომელსაც იმის წერის დროს, სხვათა 'ბორის, შეძლება სახეში ჰქონდა საქართველოს სხვა და-სხვა შემთხვევანი. ეს უნდა ვიქონიოთ სახეში იმ შემთხვევაში, როცა ცალკე ტიპებზე ვლაპარაკობთ, რომლებთაც ბევრში ქართველური ხასიათი ატყვიათ. მაგრამ ყოველ შემთხვევაში, პოემის მთელი ხასიათი ყოველ მხრივ აღმოსავლეთურია; მეტის მეტათ უნდა გაჟიანურიოს და გააზვიადოს კაცმა ამ პოემის სხვა-და სხვა ადგილები, რომ ის ჩვენი ცხოვრების ჩარჩოებში მოამწყვდიოს; არც ერთი უმთავრესი შემთხვევა ამ პოემიდან ამის საბუთს არ გვაძლევს; ეს უნდა ითქვას უმეტეს ნაწილათ იმ სახელმწიფო წეს-წყობილებაზე, რომელიც დასურათებულია „ეფეხის ტყაოსანში“ და რომელიც ყოველ მხრივ წარმოგვიდგენს უფრო აღმოსავლეთის დესპოტიებს, ვინემ თამარის დროის საქართველოს, როცა, როგორც ვიცით, თუმცა ამ სახელოვანი პირის დროშის ქვეშ იყო შეერთებული თითქმის მაშინდელი საქართველოს ყველა ნაწილები, მაგრამ ამასთანავე ისიც ვიცით, რომ მძლავრ ერისთვებს, ამ საშუალ საუკუნოების ფეოდალებს, ყოველთვინ უპირველესი მნიშვნელობა ჰქონდათ ჩვენ ისტორიაში და თავის განსაკუთრებულ ფერს აღებდენ ჩვენ პოლიტიკურ წეს-წყობილებას. საუბედუროთ, ბევრს გონია ჩვენში, რომ თუ შოთა რუსთაველს პირდაპირ ჩვენი ცხოვრებიდან არ აუღია შინაარსი თავის უკვდავი პოემისა, მაშინ იმის ნაწარმოები ყოველგვარ მნიშვნელობას კარგავსო. ეს სასტიკი შეცდომაა! განა შექსპირს აღარ აქვს მნიშვნელობა ინგლისის ლიტერატურისათვის იმიტომ მხოლოთ, რომ თავის ნაწარმოებთა შინაარსი უმეტეს ნაწილათ მან სხვა ერთა ცხოვრებიდან გადმოიღო? მაგრამ დავანებოთ ახლა თავი ამ კითხვას და გადავიდეთ ამ წერილის უმთავრეს საგანზე, ე. ი. ბ. მ. ჯანაშვილის წიგნის გარჩევაზე.

ფ. მასხარაძე.

(დასასრული იქნება)

„კვალის“ ფოსტა

ს. ბ—ვს, ბ. ი. გ—ძეს. დიდი სიამოვნებით დავბეჭდავდით თქვენ კორესპონდენციას, მაგრამ ძალადობას ჩვენ არაოდეს პატივს არ ვცემთ, თუნდ რომ ეს ძალადობა იმისთანა კეთილ საქმისაკენ იყოს მიმართული, როგორც სკოლის გახსნაა.

შეცდომის გასწორება: „კვალის“ № 19 გვ. 329 წერია: „ფანტია ვინმეეს ნიშნავენ“, უნდა იყოს: ფანტია ვინმეებს უნიშნავენ.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.

Доз. ценз. Тифлисъ, 4 Мая 1896 г. — Тип. М. Д. Ротиніанца სტამბა, მ. დ. როტინიანცისა Гол. пр., № 41.